ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 14 მარტი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ერთი ნომრის I გვერდი 75 მანეთი, [illegible] 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩარჩოში [illegible] 15×2 სტრიქონის ზომით. 100 მანეთი. წინასწარ განცხადებები არ ღებულობს. რედაქცია და კანტორის მისამართი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესასვლელი [illegible] ქუჩის მე-12-დან. ტელეფონი 16—62

№ 59 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 59

აბაშის რაიონის სოც. დემ. კოლექტივი ამით ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ა. წ. 14 მარტს ს. ქოლობანში დაუვიწყარ ამხანაგის

აპოსტოლ როსტომის ძე მიქაძის

მოსახსენებლად გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე სამოქალაქო პანაშვიდი. (ნ. 1—1)

ს. ს. ქოლობანის, გუჯუნაულის, პატარა გეზათის და [illegible] სოც. დემ. კოლექტივები ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ 14 მარტს ს. ქოლობანში დაუვიწყარ ამხანაგის

აპოსტოლ მიქაძის

მოსახსენებლად გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე სამოქალაქო პანაშვიდი. (ნ. 1—1)

აბაშის სახ. გვარდიის შტაბი ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ 14 მარტს ს. ქოლობანში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი გულწრფელი რევოლიუციონერის ამხ.

აპოსტოლ მიქაძის

მოსახსენებლად. (ნ. 1—1)

ზემო აბაშის სოც. დემ. კოლექტივი ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ 14 მარტს ს. ქოლობანში გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე სამოქალაქო პანაშვიდი ამხ.

აპოსტოლ მიქაძის

მოსახსენებლად. (ნ. 1—1)

სოფ. ქვანთის სახ. სოც. დემ. კოლექტივი ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ 14 მარტს ს. ქოლობანში გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე სამოქალაქო პანაშვიდი ამხ.

აპოსტოლ მიქაძის

მოსახსენებლად. (ნ. 1—1)

ღრმად დამწუხრებული მამა ანდრო, ძმები: ლავრენტი და ვალოდია, დები: შინდორა, შუშანიკა და ჰელენა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

იასონ ანდროს ძე ოდილავაძე.

გასვენება თფილისიდან 13 მარტს. დაკრძალვა სოფელ დანირში 15 მარტს. (952—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ბიძა და ბიცოლა—[illegible] და ელისაბედი, ბიძაშვილები: ლადიკო, გიორგი, ნინა, იაკინთე და ალისტრახი და აგრეთვე სილოვანი, მარო და შალიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

იასონ ანდროს ძე ოდილავაძე.

გასვენება თფილისიდან 13 მარტს. დაკრძალვა სოფელ დანირში 15 მარტს. (952—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ნესტორ და ეფროსინე შვილებით [illegible] და თამარით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ ძვირფასის და დაუვიწყარის შვილის I ვაჟთა გიმნაზიის მე 8 კლასის მოწაფის

კონსტანტინე (კოლიას) ნესტ. ძე მერკვილაძის

გარდაცვალებას ა. წ. 12 მარტს. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 16 მარტს, დილის 10 საათზე, წყნეთის ქუჩიდან, № 12, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე, საიდაც წირვის შემდეგ მოხდება დაკრძალვა. (957—2—1)

პირველი ქალთა გიმნაზიის მე III მე კლასის I გან. მოწაფეები აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი

თამრიკო საათაშვილი.

გამოსვენება კვირას, 14 მარტს, დილის 10 საათზე, საკუთარი სახლიდან (ვერის დაღმართზე, [illegible], № 1) წაასვენებენ ხარების ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (950—1—1)

მარიამ [illegible] ასული თუმანოვი აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 14 მარტს სიონის საკათედრო ტაძარში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის ძვირფასი დის

ქეთევან დავითის ასულის თუმანოვის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დილის 12 საათზე. (960—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე პავლე ალექსის ძე თვაური, დედა მარიამი ივანეს ასული, ძმები: ბაგრატ გიორგი და არტემი დიანოზის ძენი, [illegible], რძალი მართა სიმონის ასული შვილებით [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას 14 მარტს დანიშნულია გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი უდროოდ გარდაცვალებულის

ნინა დიანოზის ასულის თვაურის

სულის მოსახსენებლად წირვა ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. პანაშვიდი კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (154—1—1)

თფილისის [illegible] ღვთისმშობლის ეკლესიის კრებული, სტაროსტა და მრევლი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამ ტაძარში, კვირას 14 მარტს დანიშნულია განსაკუთრებული წირვა და პანაშვიდი ქ. გორში და მის მიდამო სოფლებში

მიწის ძვრისაგან გარდაცვალებულთა

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზედ. (953—1—1)

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო მწუხარებით აუწყებს თავის წევრთ და ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას 14 მარტს, გადახდილი იქნება ორმოცი დღის თავზე წირვა და პანაშვიდი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობ

გიორგი არაყელი-იოხნელის

სულის მოსახსენებლად. ქაშვეთის ეკლესიაში, პანაშვიდი დაიწყება 12 ნახევარ საათზე. (ნ.—1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა ეკატო, ძმა ლადო და რძალი სონა კუკულაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს

ილარიონ ლუკას ძე კუკულაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას 14 მარტს ქ. ლანჩხუთში წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში. (ფ. 2—2)

მარტის 7 რიცხვს სოფელ [illegible] გარდაიცვალა

ასლან ფანცულიას ასული თამარი

რასაც მწუხარებით აუწყებენ მისს ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს: დედ-დედა მიცვალებულისა პელაგია მახვას ასული ბერძენისა, დედის და ვერა ელიზბარ ბერძენის ასული და მამა ასლან ოტიას ძე ფანცულია. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან, სადგურ [illegible] ახლოს, ოთხშაბათს, 16 მარტს, ნაშუადღევის 3 საათ., წმ. გიორგის ეკლესიაზე დასაკრძალავად. (946—1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე [illegible] კონსტანტინეს ასული, შვილები: ვერა მიქელაძიშვილისა, ნინო, ლევან და დათიკო შვილებით, სიმამრი კონსტანტინე ამირანის ძე მარჯანიშვილი, სიძე გიორგი მიქელაძიშვილი, ცოლის და ხონია ქლიბაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასის დაუვიწყარის

მახვა გექანის ძე მეღვას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე კვირას 14—მარტს. გამოსვენება—გოგოლის ქ. № 54, დილის 10 საათზე. (944—1—1)

დღეს, კვირას მარტის 14 ს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ

კონსტანტინე (კოსტა) თევდორეს ძის ჟორდანიას

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე,—პანაშვიდი 12 საათზე (918—1—)

კვირას, მარტის 14 ს, [illegible] წმ. ბარბარეს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავზე წირვა და პანაშვიდი როტმისტრი

გიორგი დავითის ძის ფორაქაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმები: ზაქარია მეუღლით და ირაკლი დედითურთ ძმები ფორაქაშვილები. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (962—1—1)

ღრმად დამწუხრებული ნინო მიხეილის ასული კოპლემაშვილისა, მოკლებული საშუალებას პირადათ გადაუხადოს მადლობა ყველას, ვინც დიდი შრომა მიიღო მისი გარდაცვალებული მეუღლის

ალექსი გიორგის ძის კოპლემაშვილის

მძიმე ავადმყოფობის დროს, ამით უხდის მადლობას ექიმებს: გ. დ. ღამბაშიძეს, ა. მ. მაჭავარიანს და მისი პროფესიის ამხანაგებს მათ მიერ თავგამოდებით გაწეულ შრომაში ავადმყოფის წამლობაში და მოვლაში და აგრეთვე ყველა მათ ვინც პირადათ, წერილობით ან დეპეშებით თანაგრძნობა გამოუცხადეს და ანუგეშეს იგი უბედურების დროს. (949—1—1)

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს, 16 მარტს

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

მეორედ

სინათლე

I ნაწ. მუსიკა ქ. ფოცხვერაშვილისა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. —o— დასაწყისი 7 ნახ. საათზე. (ნ. 2—1)

აფიცერთა საკონსუმო საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტი ამით აცხადებს

1. 18 მარტს, დანიშნულია საზოგადოების რწმუნებულთა

საერთო კრება

რომელზედაც სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა წევრებს კომიტეტი სთხოვს გამოგზავნონ თავიანთი რწმუნებულნი. რწმუნებულნი ირჩევიან დაწესებულებებში დახურული კენჭის ყრით ყოველ 10 წევრზე ერთი. 5 ან მეტი წევრი მიიღება როგორც 10. ისეთი დაწესებულება კი, სადაც 5-ზე ნაკლებია უნდა შეუერთდეს სხვა დაწესებულებებს. რწმუნებულთა სია უნდა გამოეგზავნოს საზოგადოების გამგეობას—კირკის ქუჩა № 7. არა უგვიანეს 16 მარტისა. რწმუნებულთ უნდა ქონდეთ მანდატი.

2. 14 მარტს, დილის 10 საათზე საზოგადოების შენობაში დანიშნულია საზოგადოების იმ წევრთა კერძო კრება, რომელნიც არ ირიცხებიან სახელმწიფო დაწესებულებაში 18 მარტის საერთო კრებისათვის რწმუნებულთა ამოსარჩევად. ამ კრებაზე დამსწრე წევრთ თან უნდა ქონდეთ საწევრო წიგნაკები და პიროვნების მოწმობა. (ნ. 1—1)

ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

აცნობებს პატივცემულ წევრებს ზემო აღნიშნულ საზოგადოებისას, რომ ამა წლის 28 მარტს (ახ. სტილ.) დილით კვირას, ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია წევრთა

წლიური საზოგადო კრება

განსახილველი შემდეგი კითხვები:

1) გამგეობისა და საბჭოს მოხსენება.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
4) 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და დამტკიცება.
5) პაის გადიდების საკითხი.
6) გამგეობისა, საბჭოს და სარევ. კომისიის არჩევნები თანახმად წესდებისა.
7) მიმდინარე კითხვები.

თუ დანიშნულ დროს პირველი კრება არ შედგება, მეორე კრება ინიშნება 11 აპრილს და რამდენი წევრიც არ დაესწრება კრება ჩაითვლება კანონიერად.

პატივისცემით გამგეობა. (ნ. 1—1)

---

15 მარტისთვის ქ. თფილისში, მოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების და ერობების მუშა-მოსამსახურეების წარმომადგენლების

ყრილობა

ყრილობა გაიხსნება საღამოს 6 საათ. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. დელეგატები უნდა გამოცხადდნენ ქალ. თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეების კავშირში ქ. თვითმართველობაში.

(826—3—3) საორგანიზაციო კომიტეტი.

თფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების

ჩვეულებრივი წლიური კრება

დანიშნულია 28 მარტს, დილის 11 საათზე, ნაცვლად 12-ს მარტს დანიშნული კრებისა, რომელიც არ შედგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

განსახილველი საგნები:

1) საბჭოს მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 4) 1920 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5) არჩევა: გამგეობის თავმჯდომარის [illegible] გასული გ. რ. ყიფიანის სამაგიეროდ; საბჭოს წევრთა [illegible] მ. მაჭავარიანის და იგ. ხარაძის მაგიერ; სარევიზიო კომისიის სამის წევრის და მათ კანდიდატებისა.

ამ კრებაზე რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერი იქნება.

(955—2—1)

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კულტურულ-განმანათლებელი განყოფილების ინიციატივით, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის დარბაზში, კვირას, 14 მარტს, დილის 10 საათზე,

რუსეთიდან ახლად დაბრუნებული ამხანაგი

სეით დევდარიანი

გვარდიელთათვის წაიკითხავს მოხსენებას „რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ“.

(ნ. 1—1)

ექიმი [illegible] ღებულობს შინაგან ავადმყოფობით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 32, სოლოლაკი. (ნ.—თ.)

ჩალდირის ამბების გამო

სომეხ - მუსულმანთა ურთიერთობა ამიერ-კავკასიაში უფრო და უფრო თავზარდამცემი ხდება და უფრო და უფრო დიდ ხიფათს უქმნის მთელს ამიერ-კავკასიას. იმ შეთანხმების აზრით, რომელიც ადერბეიჯანსა და სომხეთს შორის მოხდა წარსულ წლის 23 ნოემბერს, თითქოს ყველა საკითხები ამ ორ რესპუბლიკას შორის მხოლოდ ურთიერთთან მოლაპარაკების გზით ან არბიტრაჟის საშუალებით უნდა წყდებოდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პირობა ქაღალდზე რჩება, საქმით კი სომეხთა და მუსულმანთა შორის ურთიერთის ჟლეტას [illegible] არც ერთხელ ჰქონიდეს იმისთანა გამწვავებული ხასიათი და არ ყოფილიყოს ისე შემაძრწუნებელი, როგორც უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში. 23 ნოემბრის შეთანხმების პირველ დღიდანვე ადერბეიჯანი და სომხეთი გამოუწყვეტლივ უგზავნიან ურთიერთს ნოტებს. ადერბეიჯანი პროტესტს უცხადებს სომხეთის მთავრობას იმ „ორგანიზაციულ ჟლეტის“ გამო, როგორც ნოტებშია ნათქვამი, სომხეთის მთავრობა აწარმოებს ყარსის ოლქის მუსულმან მცხოვრებთა წინააღმდეგ, თავის მხრივ, სომხეთის მთავრობა პროტესტს უცხადებს ადერბეიჯანს იმ ჟლეტების გამო, რომელსაც თავს ატეხდნენ ყარაბაღის სომხებს ადერბეიჯანის ჯარების მხრით. ერთი მთავრობაც და მეორეც თავიანთ საპასუხო ნოტებში ცდილობენ თავი იმართლონ და საქმის მდგომარეობა ისე დახატონ, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომები არც ისე საშინელი რამ არის, რომ ეს მხოლოდ „შინაური [illegible]“ მოწესრიგება არის, შინაური „ამბოხების“ ჩაქრობა. მაგრამ მაინც, [illegible] სომეხ მუსულმანთა ურთიერთობის [illegible], ფაქტი ის არის, რომ ამიერ-კავკასიის სომხეთ და მუსულმანთა შორის დღეს სწარმოებს ფაქტიური ომი, ერთმანეთის დაუნდობელი ჟლეტა და ეს ომი, ეს ერთმანეთის ჟლეტა [illegible] უფრო და უფრო ფართო ზომებს ღებულობს, უფრო და უფრო დიდ რაიონებს სწვდება, უფრო და უფრო სისტემატიური ხდება.

იმ ამბების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი რესპუბლიკის მოსაზღვრე ჩალდირის რაიონიდან, შეკითხვა იყო შეტანილი ადერბეიჯანის პარლამენტში. შეკითხვის ავტორები დამტკიცებულ ფაქტებით ამტკიცებენ, რომ „სომხეთის მთავრობა აწარმოებს მუსულმან მცხოვრებთა ჟლეტას“.

„შეკითხვაში“ წარმოდგენილი [illegible] არის აგრეთვე, რომ „სომხეთის მთავრობამ [illegible] ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე ყარსის ოლქის მუსულმანები“, [illegible] რომ სომხეთის მთავრობა აწარმოებს „[illegible] თავის [illegible] მუსულმანებისა“.

აშკარაა და [illegible] უნდა

დღეს

ელჩების კონფერენციამ ნოტით მიმართა გერმანიას იმ შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის აფიცრებს მიაყენეს ბალტიკაში.

გავასის სააგენტოს ცნობით მოკავშირეები გერმანიას სესხის აღების უფლებას მისცემენ.

შვეციის ახალი მთავრობა სოციალისტებისაგან შესდგება.

ინგლისური პრესის ცნობით ციმბირელებმა სამხრეთისკენ დაიხიეს და ბაიკალიას მიადგენ.

ითქვას ის, რაც საქმეშია და რის არ თქმამაც შეიძლება უფრო მეტი ზიანი მიაყენოს მთელ ამიერ კავკასიის საქმეებს: ის ფაქტები, რომელიც გამოქვეყნებულია აზერბეიჯანის პარლამენტში შეკითხვის ავტორების მიერ, მთავრობის თავმჯდომარის მიერ, მრავალი ოფიციალური დოკუმენტები სომხეთის ჯარის უფროსებისა, აგრეთვე ის ცნობები, რომლებიც მოსდის ჩვენი რესპუბლიკის მთავრობასაც ყველა ეს შეთანხმებულად ადასტურებს, რომ ყარსის ოლქში მართლაც იმისთანა ამბებს აქვს ადგილი, რაც სრულიად დაუშვებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში. აქ უბრალო „ამბოხების“ და „უწესოების“ დამშვიდებასთან კი არა გვაქვს საქმე, აქ ფართო სამხედრო მოქმედებაა მოწყობილი, სამხედრო ხელოვნების ყველა წესების მიხედვით სომხეთის ჯარის გენერალ ოსეპიანის და მიზმანოვის მეთაურობით მრავალი მუსულმანთა სოფელი ალყაშემორტყმით პირისაგან ქვეყნისა არტილერიის საშუალებით. „ქარიშხალებრივი ცეცხლის“ ზმარება მუსულმანებით დასახლებულ სოფელთა წინააღმდეგ ხშირი ამბავია ჩალდირის რაიონში.

ასეთი ზომები სომხეთის ჯარის უფროსებისა კიდევ უფრო დაუშვებელი, გახდება, თუ ერთ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას: ყველაფრიდან ჩანს, რომ ის „ამბოხება“ და „უწესოება“, რომელსაც ისინი „აქრობენ“ ჩალდირის რაიონში, ყარსის ოლქის მცხოვრებ მუსულმანთა მხრით უბრალო გაუგებრობით და ინფორმაციის უქონლობით არის გამოწვეული. ყარსის ოლქის მუსულმანებმა, მთელმა ალბათ ჯერ არ იციან, ვისი ქვეშევრდომები არიან და რომელ სახელმწიფოს საზღვრებში შედიან ისინი. გენერალ ოსეპიანის ულტიმატუმზე მიწერილ პასუხში ზარუშატის ნაწილის მუსულმანები ამბობენ: „ჩვენ სახელმწიფოთა მიერ ცნობა სომხეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად ჩვენ პირველად თქვენი ბრძანებიდან შევიტყვეთ და სხვა არაფერი არ ვიცით ამის შესახებ“. ამისთანა მდგომარეობაში, როდესაც მცხოვრებთ არც კი იციან, კანონიერია, თუ არა, ის მოთხოვნები, რომელსაც მათ უყენებენ სომხეთის ჯარის უფროსები, ჯერ ფართო ინფორმაციის საშუალებით იყო საჭირო მოქმედება და არა სამხედრო ზომებით.

ჩალდირის რაიონის ამბები პირდაპირ ეხება ჩვენს რესპუბლიკას. ამ რაიონის მცხოვრებთა დიდი რიცხვი გამორბის ჩვენი რესპუბლიკისაკენ და მის საზღვრებში ცდილობს გადარჩენას. ჩვენ მთავრობას მოსდის მრავალი დეპეშა, რომლებშიაც ჩალდირის მცხოვრებნი ეხვეწებიან მას, დაიფაროს სომხეთის ჯარებისაგან და სიკვდილს გადაგვარჩინეთო. ის უბედურება, რაც ჩალდირის მცხოვრებთ აწვდებათ თავს, არ შეიძლება არ ეხებოდეს ჩალდირის მოსაზღვრე საქართველოს მუსულმანებსაც და არ შეიძლება არ შეჰქონდეს მათ ცხოვრებაში დიდი არევ-დარევა.

როგორც ის საშიშროება, რომელსაც უქადდეს ჩალდირის ამბები მთელ ამიერ-კავკასიას, ისე, კერძოთ, ჩვენი რესპუბლიკის მშვიდობიანობა უნდა გვაკარნახებდეს, რომ სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ამ რაიონის მუსლიმ მცხოვრებლების უბედურებას და ზომები მივიღოთ ამ კუთხის საქმეების მოსაგვარებლად.

პრესა

„სახალხო საქმემ“ რევოლუციის სამი წლის თავზედაც კი ვერ მოითმინა, რომ ჩვენთვის არ ეკბინა და ხალხთან არ დავებეზღებინეთ.

„მენშევიკების ბატონობამ პირველ ყოვლისა მუშა ხალხი დაახარალა. ის არასოდეს არ ყოფილა ეკონომიურათ ასეთ უმწეო მდგომარეობაში, როგორშიაც დღესაა. ხელმძღვანელი პარტიის სიდლიერის ლოზუნგი—„დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ“—ნამდვილათ ასე უნდა გავიგოთ—დემოკრატიის ხარჯზე ბურჟუაზიის ბატონობისაკენ. გარეგნულათ თითქოს მართველობის სადავე მუშათა დემოკრატიის ხელთაა. ამავე დროს ის მონურ ყოფაშია და ცხოვრებით კი სტკბება ის კლასი, რომელიც მართველობას თითქოს დაშორებულია. (№ 776“.

ასე სწერენ რევოლუციის წლის თავზე „სახალხოს“ „სოციალისტები“! „მუშების დახარალება“, „მათი უმწეო ეკონომიური მდგომარეობა“—ეს თურმე მენშევიკების ბრალი ყოფილა! „სახალხოს“ რომ ეკონომიური კითხვების ანბანი გაეგებოდეს—ელემენტარული, რომ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება არ ემორჩილება და არ ლდის ფედერალისტების გეგმაზე ყველამ იცის, რომ ეკონომიურათ უფრო განვითარებულ ქვეყნებშიც მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა შედარებით წინანდელთან ათასჯერ უმწეოა და ეს მიზეზით იმ ხაზ, რომ იქ „მენშევიკები არ არიან გაბატონებული“.

„სახალხომ“ ისიც არ იცის, რომ სანამ არსებობს კერძო საკუთრება, ბურჟუაზიის ბატონობა უზრუნველყოფილია და ეს ასე იქნებოდა მაშინაც, თუ მენშევიკების მაგიერ, ბატონი ფედერალისტები გაბატონდებოდნენ; მათ არ უშველიდა მათი ფუჭი „სოციალიზმიც“ კი... ათურთიქმის სოციალიზაცია, რომლის რეცეპტი ავტორებივით გულზე ჰკიდიათ.

ან იქნება „სახალხოს“ „კომუნისტების სოციალიზმის“ განმეორება სურს? მაგრამ თუ რა მოიტანა ამ „სოციალიზმმა“ მუშათა კლასს რუსეთში—ეს კარგათ იციან ჩვენმა მუშებმა; იციან ისიც, რომ ფლიგანკელი ეკონომიური ურთიერთობა არც ისე ადვილი დასაძლევია, რომ ამისთვის საკმარისი იყოს ლიტონი სიტყვები; იციან ისიც, რომ ამ ვაჭანდოის შექმნაში მენშევიკებს არავითარი წილი უდევს, პირიქით, მენშევიკები ყოველივე ღონეს ღებენ რომ მუშების უმწეო მდგომარეობა შეამსუბუქონ. ამიტომ, „სახალხო საქმის“ დაბეზღებაც ამ „მიუდგომელი“ რედაქციის კეთილსინდისიერებათ დარჩება.

* * *

„სახალხოს“ არც „საქართველო“ ჩამორჩა. თუ „სახალხო“ ბრალს გვდებს იმაში, რომ ჩვენმა პოლიტიკამ „პირველ ყოვლისა მუშათა კლასი დაახარალა“, სამაგიეროთ, „საქართველო“ ბრალს გვდებს იმაში, რომ ჩვენ ყველაფერი დემოკრატიის გაბატონებას მოვანდომეთ. „საქართველოს“ მოსვენებას არ აძლევს ჩვენი „ოთ თეზი“ და თავის „თითების“ გამრავლების ნაცვლად ვერ ზოგავს სიტყვებს და ფრაზებს ჩვენს გასაწბილებლათ ის მარქსისტობასაც გვიწუნებს და ვითომ იცის რამე ამ მარქსიზმის,—დეკლარატიულით აცხადებს: „ორტოდოქსალური მარქსიზმი ათჯერ მაინც იცვლის კანონს“ (№ 55).

რაში გამოიხატა ეს „კანონის ცვლა“, ამის დასასაბუთებლად ის, რასაკვირველია, არ იწუხებს თავს. სამაგიეროთ დიდ ბოლოში იხსნის ე. წ. „ოპოზიციის წინაშე და მისი ჯუჯულობის მიზეზსაც ჩვენში ხედავს. ერთი სიტყვით ყველაფერში და ყოველ ვეში ჩვენ ვყოფილვართ მიზეზი და დამნაშავე ცხადია, ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, ალბათ ჩვენში „ოქროს მთები“ დადგებოდა, პურიც ბევრი იქნებოდა, ღვინოც და ჩვენს მამულიშვილებს მხოლოდღა წრფელ-ეკონომიური შემოძახილი და ქიდებოდათ.

ასე სწერენ ისტორიას ჩვენი მოწინააღმდეგენი და ჰგონიათ, რომ ამ იწილა ბიწილის გასავალი ექნება...

დამფუძნებელი კრება

12 მარტი.

საზეიმო სხდომა.

დარბაზში საზეიმოთ არის მოწყობილი სხდომის აფარებელი გარეშე საზოგადოება ესწრება, სიტყვას ამბობს კრების თავმჯდომარე.

ალ. ლომთათიძის სიტყვა.

მოქალაქენო, დამფ. კრების წევრნო! დღევანდელი სხდომა დამფ. კრებისა არის საზეიმო სხდომა 1917 წლის მარტის 12 დაეცა რუსეთის დესპოტიზმი. 1919 წლის მარტის 12 მკვდრეთით აღდგენილ საქართველოს თავს დადგა ხალხის უზენაესობის გვირგვინი, 2 ისტორიული თარიღი: საზეიმო არის ეს დღე ჩვენი დემოკრატიისა და ერისათვის.

რატომ? ასიურ დესპოტიზმზე აგებული რუსეთი უნდა სასიკვდილოდ დაქცეულიყო მსოფლიო ომის ასპარეზზე, ის, დამარცხებული იქ, უნდა დაენგრია ხალხის რისხვას, მონობის უღელში რომ ჰყავდა გაბმული მთელი საუკუნების განმავლობაში. და რევოლუციონურმა ხალხმა ალაგმა თვითმპყრობელობის რეჟიმი დედამიწიდან და ისტორიულ წარსულს ჩააბარა ის. მის ნანგრევებზე რევოლუციის დიადი დროშა აფრიალდა. ხალხის სრული უზენაესობა და ამ ნიადაგზე სოციალურ წყლულთა განკურნება — დაწერილი იყო ამ დროშაზე. და ამ დიდებულ ლოზუნგით გამოვიდა რუსეთის დიდი რევოლუცია. მაგრამ ეს დროშა მხოლოდ რამდენიმე თვე ბატონობდა რუსეთის რევოლუციონურ სინამდვილეში. იქ მის ადგილზე სხვა დროშა და სხვა ლოზუნგები გაბატონდა.

ისტორიულმა აუცილებლობამ პატარა საქართველოს ბედი დაუკავშირა დიდი რუსეთის ბედს. ჩვენი დემოკრატია, დიდი რუსეთის დემოკრატიასთან ერთად, იბრძოდა საერთო მტრის წინააღმდეგ საუკეთესო მომავლისთვის და ამ მომავალში საკუთარი სახით შესვლის უფლებაც ჰქონდა. რუსეთის რევოლუცია იქ, რუსეთში ასცდა ისტორიულ აუცილებლობის გზას. მან სხვა გზა მონახა და ამ გზას გაჰყვა რუსეთის დემოკრატიის დიდი ნაწილი. აქ გაჩნდა უდიდესი საშიშროება ჩვენთვის. ეს გზა არ გაიზიარა საქართველოს დემოკრატიამ. ჩრდილოეთმა ზურგი შეაქცია სამხრეთს, სამხრეთმა უკუაგდო ასეთ გზაზე შემდგარი ჩრდილოეთი. მან თავის საკუთარ ფეხზე დადგომა ირჩია, საკუთარ ძალების ანაბარად მიტოვებულმა. დიდი რევოლუცია ერთა თვითგამორკვევის მქადაგებელიც იყო.

საქართველოს დემოკრატია, დაუყრდნო რა ამას, თავის პატარა ქვეყანაში გააჩაღა საკუთარი დემოკრატიული შემოქმედების ქურა.

თქვენ მოგეხსენებათ, მოქალაქენო, თუ რა პირობებში სწარმოებდა ეს მუშაობა. მოგეხსენებათ, რომ აურაცხელი მტრები, მოსვენებას არ აძლევდნენ საქართველოს, არა მარტო გარედან იყო მოზღვავებული ეს მტერი, არამედ შიგნით, მის საკუთარ ტერიტორიაზე—უამრავი იყო ის.

მაგრამ, საქართველოს დემოკრატია არ შეუშინდა მათ.

მან იცოდა, რომ მისი მისწრაფებანი წმინდაა, მისი საქმე ნამდვილი ხალხური საქმეა, და თუ აგებს პასუხს, მხოლოდ პირუთვნელი ისტორიის წინაშე. ის შეუდრეკელით მიისწრაფის თავის დანიშნული მიზნის მისაღწევათ.

ანარქიისა, რეაქციისა და იმპერიალიზმით გარშემორტყმული დემოკრატია იბრძოდა იგი დემოკრატიზმის დასამყარებლად და მის მტკიცე საფუძველზე საუკეთესო მერმისის განსახორციელებლად. ის ბრძნულად გაუსხლტა ამ საშინელებათა ბრჭყალებს. ჩრდილოეთიდან რომ ანარქიისა და რეაქციის საშინელი ტალღა მოგორავდა, თითქმის ყოველი მხრიდან რომ ადგილ-წამხდარი მტაცებელი იმპერიალიზმი შეჭმას უქადოდა. ამისთანა დროს ჩვენმა ხალხმა შესძლო თავის ისტორიულ გზას არ გადასცდენოდა და მივიდა კიდეც ამ გზით ევროპის დემოკრატიასთან საძმოთ.

ამ გზაზე შემდგარი საქართველო, დღესაც განაგრძობს ბრძოლას, და მას შეუძლიან იმედი იქონიოს, რომ მოპოვებულ გამარჯვებას ახლებს მიუმატებს და ამგვარად შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას!

მოქალაქენო, დამფ. კრების წევრნო! განვლილი სამი წელი მსოფლიო ომის დასასრულის და ზავის მოლოდინის წლები იყო. და ამ საკითხში საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკა და აზრი მთელმა ქვეყანამ იცის.

ჩვენ ვამბობდით, ვამბობთ, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტის პოზიციაზე ვდგომნი, არ დავუშვებთ, რომ ჩვენ სუვერენობას, ჩვენ დამოუკიდებლობას ხელით შეეხოს ვინმე და მან საკადრისი პასუხი არ მიიღოს.

ჩვენ ვამბობ , რომ მუდმივი მშვიდობიანობა ერთა შორის, რომელიც აუცილებელი პირობაა ხალხის ყოველ მხრივ განვითარებისთვის, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ საერთაშორისო სადავო საკითხების გადამჭრელი უზენაესი ორგანო იქნება ლიგა—საერთაშორისო დემოკრატიის მაღალი ტრიბუნა, სადაც ჭეშმარიტი დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელნი მოიყრიან თავს.

ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ არც ისე შორს არის ეს მომენტი, როდესაც საერთაშორისო და მასთან ერთად ჩვენი პატარა დემოკრატიაც ამ იდეალს მიაღწევს.

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! რუსეთის დიდი რევოლუციის ერთი უპირველესი მოთხოვნა იყო დამფუძნებელი კრება, შეკრება იქ, მაგრამ რაღაც მიზეზის არსებობის შემდეგ ის მეტ ბარგათ მიიჩნიეს და გარეკეს. ჩვენმა დემოკრატიამ ამ რევოლუციის დროშა და მისი დიადი ლოზუნგები გადმოიტანა მშობლიურ ნიადაგზე და აქ განახორციელა ეს დიდი რევოლუციის მოთხოვნანი (ტაში).

რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკილ იქნა, საქართველოს დამფუძნებელი კრება ჩვენმა ხალხმა ანარქიის ქარცეცხლში დიდის ბრძოლით გამოატარა და თავის დედა ქალაქში შეჰკრიბა იგი დემოკრატიის მოთხოვნილებანი, ხალხის უზენაესობის განმტკიცება. რომელიც უარყოფილ იქნა იქ, შესრულებულ იქნა აქ. რუსეთის დიდი რევოლუცია, ეს წყარო იყო დიდებულ იდეალებისა, მაგრამ ამ იდეალების განსახორციელებლად სხვა გზა, სხვა პოლიტიკა იყო საჭირო; ეს გზა და პოლიტიკა ჩვენმა ხალხმა აირჩია და მედგრად ადგია დღესაც მას. მოქ. დამფ. კრების წევრნო, მე არ ვიტყვი რომ საქართველოს ერის უზენაესი ორგანო, მისი დამფ. კრება, უნაკლულოა. მისი სისწორით დაფასება პირუთვნელი ისტორიის საქმეა. მაგრამ მე ვიტყვი იმას, რაც უნდა აღიაროს ყოველმა მიუდგომელმა.

ის სდგას ჭეშმარიტ დემოკრატიულ ნიადაგზე, მისი მოღვაწეობის მთავარი ხაზი, ეს არის სრული უზენაესობა ხალხისა, ხალხის საშუალებით მის წყლულთა განკურნება. ეს არის მისი მთავარი იდეალი; მტკიცეთ სდგას ის ამ გზაზე, ის მას არ გადაუხვევს. ამით ის პირნათელი შვილია დიდი რევოლუციისა, უდავოდ გამართლებულია ქართველი ხალხის იმედებისა.

რა გაკეთდა ამ 3 წლის განმავლობაში?

რუსეთის დიდმა რევოლუციამ თავისუფალი ასპარეზი გაშალა დემოკრატიზმის გასამტკიცებლად. ამ ასპარეზზე ძლიერად შესდგა და გამაგრდა ჩვენი დემოკრატია. ანარქიასა, რეაქციასა და იმპერიალიზმს ის ბრძნულად გაუსხლტა, დემოკრატიზმისთვის კი ერთხელაც არ გადაუხვევია. ამ სისხლის წვიმების დროს მან მკვდრეთით აღადგინა საქართველო და მისი მრავალ საუკუნოვანი კულტურის მქონე ერი და დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის დროშით მიიყვანა ევროპის ხალხთა ოჯახში. დიდი რევოლუციის მიერ ნაკარნახევი რეფორმები თითქმის ყველა განხორციელდა და ამ მხრივაც ბევრი ხალხთათვის მისაბაძი გახდა.

შექმნა მუდმივი დაუძინარი დარაჯი ხალხისა და რესპუბლიკისა, გვარდიისა და ჯარის სახით, დაამყარა კეთილი და ძმური განწყობილება მეზობლებთან. ბევრი გაკეთდა, მოქალაქენო, ბევრი კიდევაა გასაკეთებელი და კიდევაც გაკეთდება. შეგვიძლია ჩვენ ეს ვსთქვათ მოქალაქენო! ჩვენ დანაშაულს ჩავიდენდით ჩვენი ხალხის წინაშე, რომ დღეს არა ვსთქვათ ისიც, რაც ყველას ერთნაირად გვაწუხებს დღეს ჩვენ. რევოლუციის ნაკარნახევია დამოუკიდებელი საქართველო. ისაა ნიადაგი ჩვენი ერის აღორძინებისა და რაკი ეს ასეა, უდიდესი დანაშაული იქნებოდა კაცობრიობის წინაშე, რომ მას ამ მიზნის მიღწევაში ვინმემ ან რამემ ხელი შეუშალოს. დემოკრატიული რესპუბლიკა ფიქცია იქნება, თუ მისი ბუნებრივი და ისტორიული საზღვრები არ დამრგვალდება. ამ საკითხზე არა ერთხელ თქმულა ჩვენ მიერ. დღესაც ამ მაღალი ადგილიდან საქვეყნოთ ვაცხადებ: სხვისი რამ ღმერთმა ნურამც მოგვცეს ჩვენთვის, მაგრამ ის, რაც ჩვენია, ამაში ნურავინ ნუ გვეცილება. ჩვენი ქვეყანა უნდა აღორძინდეს, ამისთვის მას უნდა დაუბრუნდეს ის, რაც მას აგაზაკურათ მოსტაცეს ბრესტ-ლიტოვსკის გმირებმა. მე თქვენს სახელით სრულ რწმენას გამოვსთქვამ, რომ მთელი ჩვენი ერის ერთსულოვან მოთხოვნილებას სათანადო ანგარიშს გაუწევენ სადაც და ვისაც ჯერ არს, არ მოისურვებენ შელახონ მთელი ერის თავმოყვარეობა და დაუბრუნებენ მას იმას, ურომლისოდაც ახლანდელი ჩვენი საქართველო უდროოდ დროთ ჩაკვდება ეკონომიურად და კულტურულად. ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს უნდა დაუბრუნდეს და ამით გასწორდეს დანაშაული თუ შეცდომა, დღემდე გაუსწორებელი.

ბათუმის ოლქი მის ისტორიულ პატრონს, საქართველოს უნდა დაუბრუნდეს რაც შეიძლება ჩქარა (მხურვალე ტაში) შორს არაა ის დღე, როცა ამ გამარჯვებებსაც მიაღწევს ჩვენი ხალხი და ასე ამგვარად საკუთარ ფეხით მოსიარულე. საერთაშორისო კულტურის კერას ეზიარება და იქ სხვებთან ერთად თვითონაც გააჩაღებს თავის დემოკრატიის შემოქმედებით მოღვაწეობას. (ხ. ტაში) მოქალაქენო, დამფ. კრების წევრნო! ერთი-ორი წლის წინად ამ დარბაზში პარლამენტის ტრიბუნიდან ნათქვამი იყო, რომ ჩვენ არავისი არ გვეშინიან და არავისი არ გვრცხვენიან.

დღეს ჩვენ პირიქით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენ არამც თუ სირცხვილი ან შიში გვმართებს, ვინმეს წინაშე, არამედ წელში გამართული მთელ კაცობრიობას მივმართავთ და ვეტყვით: მოვედით თქვენთან ერთად სამუშაოდ. მოვიტანეთ ის ისტორიული ავლა-დიდება კულტურულ სფეროში, რომელიც დღემდე მოუტანია და გადურჩენია ჩვენს ხალხს. მოვიტანეთ დიდი რევოლუციის წმინდა იდეალთა დიდი ნაწილი საქმედ ქმნილი და თქვენთან ერთად გვსურს ვიბრძოლოთ საუკეთესო მომავლისთვის.

ესაა, მოქალაქენო, ჩვენი სიტყვა და საქმე და ამისთვის თუ შიში ან სირცხვილი მოგვეღის, დეე აღსრულდეს. აი ყველაფერი ის, რაც ჩემის აზრით უნდა აღნიშნულიყო დღეს აქ. ესაა დიდმა რევოლუციამ რომ გვიანდერძა ასასრულებლად, ესაა ნამოღვაწარი ჩვენი ხალხისა და მისი დამფუძნებელ კრებისა და მთავრობისა. ყველაფერი ეს გვავალებს ხმა მაღლა შევძახოთ: დიდება რუსეთის დიდ რევოლუციას, გაუმარჯოს ჩვენ ძლევა-მოსილ ხალხს, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, გაუმარჯოს ერთა შორის სოლიდარობას (მხურვალე ტაში).

დასასრულ თავმჯდომარემ წაიკითხა 28 თებერვლის მილოცვის დეპეშა ლონდონის თემთა პალატის თავმჯდომარისაგან.

სხდომა დახურულ იქნა და სასახლის წინ გაიმართა დიდი მიტინგი.

12 მარტი

12 მარტს თფილისის დემოკრატიამ ბრწყინვალეთ იდღესასწაულა რუსეთის რევოლუციის 3 წლის და საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის 1 წლის თავი. რევოლუციონურ დროშებით შემკობილ ქალაქს განსაკუთრებული სიხარულის იერი გადაჰკროდა. ამ დღეს თვით ბუნებაც ზეიმობდა და ცხოველ მყოფელი მზე უხვად ისროდა სხივებს.

დილის 9 ს. მუშათა სასახლის წინ თფილისის სხვადასხვა კავშირების მუშებმა წითელი დროშებით და რევოლუციონური სიმღერებით იწყეს თავის მოყრა.

რუსთაველის პროსპექტის ორივე მხრივ ჩამწკრივდა ჯარი და გვარდია. აურაცხელი ხალხი რუსთაველის პროსპექტზე გამოსულიყო, რომ დატკბარიყო დემოკრატიის ზეიმით. ქალაქში წესრიგს იცავდა მილიცია; მუშებში კი პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელნი. 11 საათზე დაიძრა ავტომობილი, რომელშიაც ისხდნენ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის წევრები და ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი ს. დევდარიანი. ავტომობილი ჩერდებოდა სხვადასხვა ადგილას, საიდანაც ორატორები ულოცავდნენ მუშებს ამ დღეს და უმარტავდნენ მის მნიშვნელობას.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის სახელით ამხ. ა. ხელაძემ. შემდეგ ილაპარაკა საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ს. დევდარიანმა. უკანასკნელი მიესალმა მუშებსა და ჯარს იმ დემოკრატიის სახელით, რომელსაც სული ეხუთება რუსეთში ლენინ-ლენინკინის ანარქიაში. რუსეთში აღარ არსებობს 12 მარტი,—ამბობს ორატორი,—იქ, ბოლშევიკების სამეფოში, დღესასწაულობენ 25 ოქტომბერს, რომელმაც გააუქმა 12 მარტი. ამხანაგი აღნიშნავს, რომ საქართველოში დღეს გამეფებულია დემოკრატიული წესწყობილება და ის მომავალშიაც გაიმარჯვებსო დასასრულ ორატორი ეხება აქაური მუშათა კლასის და დემოკრატიის ხელმძღვანელ დაწესებულებებს და ამბობს, რომ მათი ღირსება თუ ნაკლოვანებანი არის ჩვენივე ღირსება ნაკლოვანებანი, საჭიროა კრიტიკა, მაგრამ ეს უნდა იყოს თვით კრიტიკაო, ამ გზით შეგვიძლია დავძლიოთ აურაცხელი დაბრკოლებები და მივიდეთ საუკეთესო მომავლისკენო.

შემდეგ ილაპარაკეს მარქაროვმა თურქულათ, ი. გიორგაძემ და ს. დევდარიანმა (რუსულად).

ავტომობილი დაიძრა და გაემართა სასახლისაკენ, მას მოჰყვა მუშები და ჯარი და ჩამწკრივდა დამფუძნებელი კრების დარბაზის წინ. აღსანიშნავია არსენალის მუშების გამოსვლა, რომელთაც სამჭედლო მოეწყოთ ავტომობილზე და მხიარულად ურტყამდნენ ჩაქუჩებს.

სასახლის წინ სიტყვა წარმოსთქვეს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსმა ამხანაგმა ალ. ლომთათიძემ და ვ. ჯუღელმა მათ სიტყვებს ზღვა ხალხის ტაში ფარავდა.

ნაძალადევში მიტინგი გაიხსნა ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე. ილაპარაკა ამ. ჩხენკელმა. მან აღნიშნა ნაძალადევის მნიშვნელობა და დაახასიათა ის, როგორც ერთ ერთი კუთხე, საიდანაც დაიწყო რევოლუციონური მოძრაობა.

სოც. ფედ. პარტიის სახელით ილაპარაკა ამ. შავაძემ. შემდეგ გ. გიორგაძემ და ბოლოს სამხედრო მინისტრმა გრ. ლორთქიფანიძემ. უკანასკნელმა საქართველოს შეიარაღებული ძალის სახელით მიულოცა საზოგადოებას ბრწყინვალე დღესასწაული. შეეხო ბათუმისა და აჭარის საკითხს და განაცხადა, რომ ბათუმი შემოერთებული იქნება თავისი დედა საქართველოზე. განცხადებას მიტინგი აღფრთოვანებით შეხვდა.

მოწოდება

მოქალაქენო! თანაგრძნობა, მოძმის სიყვარული და გატანა ადამიანის საუკეთესო სამკაულია.

ყოველივე ქმნა და წარმავალი, მარტო სახელია უკვდავი. ძუნწს, [illegible] და გაუტანელ ადამიანს არსად არ შერჩენია სახელი.

ქველმოქმედს, [illegible] და [illegible]ბის დამხმარეს ყველგან კეთილათ იხსენიებენ.

ამიტომ არის ნათქვამი:

სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოვლისა მოსახვეჭელისა.

სახალხო საქმეს ის აკეთებს, ვინც მიწისძვრისაგან გაპარტახებულ სოფლებს გულუხვათ ეხმარება.

უბედურებისაგან წაქცეულ მოძმის ფეხზე დაყენება ჩვენი წმინდა მოვალეობაა. სიკეთის თესვა და ადამიანური მოვალეობის ასრულება არასოდეს არ უნდა მოგვწყინდეს.

მოქალაქენო! ჩვენ ვიცით თანაგრძნობაც, დახმარებაც.

მაგრამ ამ შემთხვევაში არ კმარა ჩვეულებრივი დახმარება.

დიდია, მეტად დიდი უბედურება და ზარალი და მტკიცე, მუდმივი, ხანგრძლივი და მოუწყვეტელი უნდა იყოს ჩვენი დახმარებაც.

ერთხელ აქა დაეხმარე, ნიადაგ ხომ არ უნდა ვიძლიოთ,—ამისი თქმა არ შეგვფერის, არც შეგვშვენის.

ჩვენი დახმარება დიდ ხანს არ უნდა შესწყდეს. ნუ დავივიწყებთ, როდის და რამდენჯერ გვიგლია დახმარება: ვისარგებლოთ ყოველი შემთხვევით, დროდა დროთ გადავუდოთ ჩვენი შემოსავლიდან ბუნებისაგან განადგურებული ქართლისათვის. უამისოთ, მოქალაქენო, ქართლი ვერ აშენდება, ვერ მოღონიერდება დიდ ხანს.

გორის მაზრა რესპუბლიკის შუაგულია, დედაქალაქის მოსაზღვრეებულია. თუ მისი დანგრეული სოფლები ისევ არ აშენდა მალე და ხალხი წელში არ გამაგრდა, ეს მთელ რესპუბლიკაზე, მთელს ჩვენ მდგომარეობაზე იქონიებს საზიანო გავლენას.

მოქალაქენო, გახსოვდეთ მუდამ დღე აოხრებული სოფლები, გაუბედურებული ხალხი.

ნუ დაივიწყებთ ჩვენ წვლილს, ნუ დაგვეზარება ქველმოქმედება. რესპუბლიკის კეთილდღეობა გვავალებს მას.

დაზარალებულთა დამხმარე
მთავარი ბიურო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

თფილისი. მარტის 13. რადგანაც ამ ბოლო დროს პრესაში და საზოგადოებაში გავრცელდა არა სწორი შეხედულებანი აზერბეიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკათა დამოკიდებულების შესახებ ბათუმის ნავთსადენის გამო, ამიტომ ჩვენ ვთვლით შეგვატყობინოთ რომ, როგორც გამოირკვა ეხლა ბაქოში მყოფ ჩვენი საგანგებო მისიისა და აზერბეიჯანის რესპუბ. საგარეო საქმეთა მინისტრის ფატალი ხან-ხოილისა და აზერბეიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელ წრეებს შორის აზრთა გაცვლა გამოცვლისაგან, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ორივე რესპუბლიკებს შორის ადვილი შესაძლებელია მოინახოს საერთო ენა ამ საკითხის ორივე რესპუბლიკისათვის დამაკმაყოფილებლათ გადასაწყვეტათ.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობასთან გრ. ალშიბაია.

(საქ. დეპ. სააგ.)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

13 მარტი.

ინგლისური პრესის ცნობები.

ციმბირში.

(დასაწყისი არ მიგვიღია).. ციმბირელებმა სამხრეთისაკენ წაიწიეს და ბაიკალს მიადგნენ. (სიტყვა დამახინჯებულია) და ბოლშევიკები დაეთანხმნენ, რომ მათი უკან დახევა არ იყოს შეფერხებული.

სესხი გერმანიას.

გავასის სააგენტო იტყობინება: გერმანიის ეკონომიური მდგომარეობის საკითხში კვლავ შეიცვალა მოკავშირეთა პოზიცია იმ მხრივ, რომ გერმანიას, ალბათ, სესხის აღების უფლებას მისცემენ.

ადრიატიკის საკითხი.

„ტაიმსი“ სწერს: ვილსონის უკანასკნელი ნოტა ადრიატიკის საკითხის შესახებ სრულებით არ აღნიშნავს შეერთებულ შტატების მიერ თავისი მოთხოვნილების უარყოფას, შეერთებული შტატები აჯობინებს მოქმედებას, რომელიც შეთანხმებული იქნება იტალიისა და სამხრეთ სლავიასთან.

ფრანგული პრესის ცნობები.

ელჩების კონფერენცია

ელჩების კონფერენცია შეიკრიბა ხუთშაბათს დილით ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით. გადაწყვიტეს მიმართონ გერმანიას ნოტით, რათა მან დაუყონებლივ სისრულეში მოიყვანოს დაპირებული განკარგულება იმ შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც მოკავშირეთა კომისიის ოფიცრებს მიაყენეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალტიკაში. შემდეგ კონფერენციამ დაადგინა დაიჭიროს მდგომარეობის მოწესრიგება პოლკოვნიკ მარკოვის სარდლობით მყოფ რუსულ რაზმისა, რომელიც წინათ ბალტიკაში მყოფ რუსულ-გერმანული კორპუსის ნაწილს წარმოადგენდა და რომელიც ეხლა მოკავშირეთა კომისიის ხელში იმყოფება. ინგლისის დელეგაციის თხოვნით ელჩთა საბჭომ გადაწყვიტა ბელგრადის ახალი მთავრობისაგან მოითხოვოს სამხრეთ-სლოვენელთა რაზმების მიერ ევაკუაცია რადკერსბურგისა, რომელიც მათ კონფერენციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ დაიჭირეს. საბჭომ მისცა...

ბოლშევიკების ცნობები.

შრომის ნაყოფიერებისათვის.

...(დასაწყისი არ არის). გერმანელ მუშებს არ სჯერათ იმუშაონ ბურჟუაზიის ქძირი ჯიბეების ამოსავსებად, მაგრამ სიამოვნებით იმუშავებენ საბჭოთა რუსეთისათვის. შვეციის [illegible] მუშები გამოსთქვამენ სურვილს, რომ საბჭოთა რუსეთში სამუშაოდ წავიდნენ, თუმცა მათ იციან, რომ ჩვენში ცხოვრება ეხლა ძნელია. გერმანიისა და შვეციის მუშებმა იციან, რომ სოციალიზმის გამარჯვებისათვის საჭიროა საუკეთესო შრომა. მრავალი ცნობაა, რომელიც მოწმობს, რომ მრავალ ადგილას მუშები თვით ადგენენ სამუშაო დღე 10, 11 და 12 საათამდე გადიდონ. ამგვარ პირობებში უნდა მივესალმოთ ც. კ. რ. კ. პარტიის დადგენილებას, რომ პირველ მაისს სრულიად რუსეთის „სუბოტნიკი" [illegible]. ბუხარინი „პრავდაში" თავის პროვინციალურ შთაბეჭდილებას უზიარებს მკითხველებს. „მე ვიყავი ვლადიმირში სოფლების პარტიულ კონფერენციაზე. ყველა ქარხნებიდან და მაზრიდან შეკრიბა 70—80 კაცი. მოვიდნენ აქ იქ სოფლებიდანაც. თითქმის ყველა საბჭოთა მომხრე მუშა დაესწრო. ერთად ერთი ინტელიგენტი მათ შორის „მოსკოვლი", „ცენტრიდან", მე ვიყავი. მთავარი სადისკუსიო საკითხები იყო: მეურნეობის აღდგენა, შრომის მილიტარიზაცია, ცალ-ცალკე და კოლეგიალური მართველობა და სხვა, ერთი სიტყვით, ყველა ის საკითხი, რომელზედაც ბევრს ყვირიან და ბჭობენ აქ ცენტრში, სადაც ხშირად საქმიანი მოსაზრება იჩრდილება შეურაცხყოფილ თვითმოყვარეობის გამოისით.

უმაღლეს პოლიტიკით, დიპლომატიით და სხვა ამგვარებით. კონფერენციაზე სულ სხვა რამე იყო, ამხანაგ მუშებს უკვე არ ეშინიათ, ისინი საქმიანი არიან დარწმუნებულნი თავის ძალაში და არ ფიქრობენ, რომ „ქოთანს ძლიერი მხეცი არ არის". არავითარი ყვირილი, ხმაურობა და დემაგოგია არ არის. ყველაფერში ფხიზლობა და საქმიანობა.

სამხედრო ცნობები.

პერეკოპის და სივაშის რაიონში ბრძოლა გრძელდება. მტერს კონტრიერიშები მოაქვს და სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევს. [illegible] რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას კარგად ანვითარებს. ტიხორეცკის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით 30—40 ვერსზე ჩვენი ჯარი შეტევით ომს აწარმოებს. სტავროპოლიდან ჩრდილო-დასავლეთით და აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლა სწარმოებს.

პრესის მიმოხილვა.

სტეკლოვი „იზვესტიაში" სწერს: „ანტანტის გამარჯვებამ ტანჯულ კაცობრიობას არ მისცა ზავი. მოტყუებულ ხალხს ეუბნებოდნენ, რომ საერთო ზავის ხელის შემშლელი გერმანიის მილიტარიზმია. მაგრამ აი, გერმანიის მილიტარიზმი არ არის, მაგრამ სასურველი, მტკიცე ზავი არ მყარდება. პირიქით, ჰაერში ისევ ვგრძნობთ წამლის სუნს. ბალკანეთზე რაღაც უცნაური რამ ხდება, ინგლისი სტამბოლისაკენ თავის ჯარს და სამხედრო ფლოტს ეზიდება. აქაც მოსჩანს ყრუ ქიშპობა ბრიტანეთის და საფრანგეთის შორის. თითოეულს სურს მახლობელ აღმოსავლეთის თავისი თავი გადააქციონ. ბალკანეთი და წინა აზია შეიძლება შეიქნეს ისევ სისხლის მღვრელ შეტაკების თეატრად, რომელშიაც ჩათრეული იქნებიან ყველა მახლობელი და ბალკანეთის ნახევარი კუნძულის ხალხი.

სოციალისტები შვეციის მთავრობაში.

შვეციის მთავრობის ახალ შემადგენლობაში სულ სოციალისტები არიან.

საფრანგეთი და ბოლშევიზმი.

საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობას ბოლშევიკური მოძრაობის ეშინია. სენატში შეიტანეს შეკითხვა: როგორ ზომებს მიიღებს მთავრობა ბოლშევიკური აგიტაციის საწინააღმდეგოთ.

გერმანიაში.

ლიონი. 11 მარტი. ბერლინში ბრბო გარს შემოერტყა იაპონიის, იტალიის და საფრანგეთის საზავო კომისიის წევრ ოფიცრებს. პოლიცია იძულებული შეიქნა ოფიცრები დაეცვა.

სტამბოლის ოკუპაცია.

ლონდონიდან დეპეშით იუწყებიან: ინგლისის მთავრობამ დაადგინა წინადადება მისცეს ინგლისის სამხედრო ძალებს მოახდინონ სტამბოლის ოკუპაცია, საფრანგეთის და იტალიის მთავრობა მოწვეულნი არიან ოკუპაციაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც ფიქრობენ ამაზე ისინი დათანხმდებიან.

ახალი ამბები

დღეს დილის სრულ 11 საათზე შესდგება საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა. ცეკას წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ.

◆ ტფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დადგენილების თანახმად დღეს, 14 მარტს, მუშაობა იქნება ტფილისის ყველა ქარხანა ფაბრიკებში და დაწესებულებებში. მუშებისა და მოსამსახურეების დღიური ჯამაგირი გადიდება მიწის ძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხვალ, 15 მარტს.

◆ **ორშაბათს, 15 მარტს,** ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. საკონტროლო კომისიის სხდომა. სთხოვენ წევრებს: კ. ანდრონიკაშვილს, კ. ნინიძეს, ზ. გურულს, ა. ჭიაბერიოვს, ვ. ცაბაძეს, გ. მახტაძეს, ნ. კოპლატაძეს, კ. ჭუმბურიძეს, ხალვაიას, ნოლიას და ყველას, ვისთვისაც მოსახერხებელია ამ დღისათვის ჩამოსვლა უსათუოთ გამოცხადდნენ.

◆ **აბანოებში.** კვირას 14 მარტს ტფილისის ყველა გოგირდის აბანოები ღია იქნება დილიდან შუადღის 2 საათამდე. ამ დღის ხელფასი მუშების მიერ გადადებული იქნება ვნებულების სასარგებლოთ.

◆ **1,200,000 მანეთის გატაცების აღმოჩენა.** 9 მარტს საქართველოს სამხედრო გზაზე მე-11 ვერსზე გაძარცვეს ირე ჩხეიძე, რომელსაც 1,200,000 მანეთი წაართვეს. დამცველი ყოფილა 5 ყაჩაღი მაუზერებით შეიარაღებული. ყაჩაღებს წაურთმევიათ ავტომობილიც, რომელიც 8 ვერსის იქით ტყეში ჩიდებიათ და გაქცეულან. შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებით სისხლის სამართლის მილიციის უფროსი პ. ფანჩულიძე გაემგზავრა [illegible], გზა გადაუჭრა მძარცველებს და ერთი მათგანი ლევან მაისურაძე იქვე დაიჭირა. უკანასკნელს 1917 წელს სარაყამიშის ფოსტის გაძარცვა ბრალდებოდა. მაისურაძე დატუსაღების დროს არ გამოტყდა და არეულ ჩვენებას იძლეოდა. გამოირკვა, რომ ფულის გატაცებაში მონაწილეობა მიუღია შოფერს, ვინმე ვიქტორ მასლოვს, რომელიც სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა სახალხო გვარდიის წარმომადგენელ ნიჟარაძესთან ერთად დაიჭირა. შოფერი ყველაფერში გამოტყდა და უჩვენა, რომ ფულის გატაცებაში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე მცხეთაში მცხოვრებნი ვანო მარტოლევი და გიორგი გარსევანიშვილი. უკანასკნელნი გამოტყდნენ და გასცეს თავიანთ ამხანაგები ავლაბარში მცხოვრებნი იოს. გიორგ. ზუკაკიშვილი, რომელსაც მათი სიტყვით გატაცებული ჰქონდა ფული. 13 მარტს სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა და სახ. გვ. წარმომადგენელმა ნიჟარაძემ გაჩხრიკეს ზუკაკიშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა 284,000 მანეთი. უკანასკნელიც გამოტყდა ყველაფერში და გაძარცვის მეთაურათ დაასახელა ლევან მაისურაძე. დაჭერილებმა გასცეს აგრეთვე შოფერი გრიგოლი. ყველანი დააპატიმრეს.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს, დილით „ქეთო და კოტე". საღამოთი, მანდლენთეს ბენეფისი „ავესალომ და ეთერი", ორშაბათს, ვოლ-დევეიცკის ბენეფისი „დღენი ჩვენი ცხოვრებისა".

◆ **გორის ილ. თარხნიშვილის** პროფესიონალურ სკოლის მოწაფეთა საყურადღებოდ. სწავლა განახლდება 20 მარტიდან ხაშურსა და ახალქალაქის ილ. თარხნიშვილის პროფესიონალურ სკოლებში. ბინა ექნებათ სასწავლებლებში ხოლო ჭამა-სმა თავიანთი.

◆ **ლექცია.** დღეს, დილის 12 საათზე არტისტულ თეატრის საკონცერტო დარბაზში პროფ. ტოტომიანცი წაიკითხავს ლექციას: „ევროპის და ახლო აღმოსავლეთის მომავალი".

◆ **სახალხო სახლი.** დღეს საღამოს ქართ. წარმ. ამხანაგობის წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ისმინე ისრაელ". ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

— **წარმოდგენა** დღეს, ვერის მუშათა კლუბში წარმოდგენილი იქნება სამ მოქმედებიანი დრამა „დამნაშავე". დასაწყისი საღ. 8 საათზე.

◆ **ლტოლვილების დასახმარებლად.** ლტოლვილ რაიონის სოფლების რწმუნებული შუამდგომლობს მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წინაშე, რათა მთავრობამ სასწრაფო ზომები მიიღოს და ლტოლვილებს დაეხმაროს სურსათით და სათესლე ხორბლის მიწოდებით.

◆ **ბრიტანეთის უმაღლესი კომისარის** ბ-ნ უორდროპისაგან საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა 9 მარტს შემდეგი ბარათი მიიღო: „თქვენი ადამიანურობამ, მისი ფიცდებულობისათვის მთავრობამ დამავალა მისი სახელით ღრმა მწუხარება განვუცხადო ამას წინათ გორის მაზრაში მომხდარ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ და 1000 გირვანქა სტერლინგი გადავეც დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის ფონდს. ამასთანავე გიგზავნით საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ მოხელის მიხეილ არსენიძეს სახელზე ჩეკს და წერილს 1000 გ. სტერლინგის მისაღებათ, ამასთანავე გიგზავნით ჩემს პირად შეწირულებას—50 გირ. სტერლინგის ჩეკს".

◆ **ჟურნალ „ერობა და ქალაქის"** თანამშრომელთა თათბირი. კვირას 14 ამა თვეს საღამოს 8 ს. ქალაქთა კავშირის ბინაზე პუშკინის ქ. № 8 დანიშნულია ჟურნალ „ერობა და ქალაქის" თანამშრომელთა თათბირი.

◆ **ზეთი.** სასურსათო განყოფილება ამით აცნობებს ტფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მან მიიღო ყუბანიდან ლიძადი ზეთი კარგი ხარისხისა, რომელიც ამ დღეებში გაიყიდება ტფილისის ყველა სასურსათო დუქნებში.

◆ **კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში.** დღეს, 14 მარტს დილის 10 საათზე ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის დარბაზში, რუსეთიდან ახლად დაბრუნებული ამხანაგი სეით დევდარიანი გვარდიელთათვის წაიკითხავს მოხსენებას: „რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ".

◆ **ტელეგრაფის განყოფილება.** [illegible] (ოზურგეთის მაზრა) გარდაიქმნა ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებად, ფოსტის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს ჩოხატაურიდან.

◆ **კომბოსტო.** სასურსათო განყოფილებას დამზადებული აქვს ლიძადი კომბოსტოს მწნილი, რომელიც დაურიგდებათ ყველა დაწესებულებებს, საავადმყოფოებს და კერძო პირებს განუსაზღვრელი რაოდენობით ფუთი 160 მანეთად, ტფილისის ყველა მოქალაქეებს კი სასურსათო დუქნებში.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ მსმენელთა მთავარი გამგეობის არჩევნები დაიწყო 7 მარტს და დამთავრდა 9 მარტს საღამოს. არჩევნების შედეგი ასეთია: სოც. დემ. სიამ № 1 მიიღო 280 ხმა, ნაც. დემ. სია № 2—211, მაშვრალთა პარტ. სია № 3—16, ნაციონალისტების პარტიის სია № 4—9 და სოც. ფედ. პარტიის სია № 5—468. ამგვარად სოც. დემ. გაიყვანეს გამგეობაში 6 კაცი, ნაც. დემ. 6 და სოც. ფედ. 13. სოც. დემოკრატების შემადგენლობა გამგეობაში: მიხეილ ქავთარაძე, ირაკლ. ქიქვიძე, არტემ ჩიხუა, კონსტ. სამყურაშვილი, სიმონ აბესაძე და ვლად. ფირცხალავა. სარევიზიო კომისიაში სულ არჩეულ იქნა 5 კაცი, აქედან 3 ფედერალისტი და თითო ერთ. დემ და ს.-დემ. სოციალ-დემოკრატებიდან სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა ამხ. აკაკი სიგუა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში** დღეს კვირას 14 მარტს უნივერსიტეტის სამმართველოში (პლეხანოვის პრ. № 124) შესდგება განყოფილებათა წარმომადგენლების კრება შუადღის 11 ს. რადგანაც განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი სასურველია ყველა დაესწროს.

ხვალ ორშაბათს 15 მარტს ლექციებს წაიკითხავენ: პირველ განყოფილებაში (ვერაზე) 1) ვ. ბარნოვი—ქართული ლიტერატურა; 2) ს. მესხი სამშობლოს აღწერა.

მე 4 განყოფილებაში: 1) დ. ასათიანი საფრანგეთის რევოლუცია; 2) ზ. აბრამიშვილი—ბერძნების ისტორია.

მე 8 განყოფილებაში (ავლაბარი) 1) გ. კოტეტიშვილი—სოციოლოგია; 2) ს. დოლიძე—საქართველოს ისტორია.

◆ **ტფილისის სადგურის წესრიგის ნიმუში.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: 10 მარტს, ტფილისის სადგურის მოსამსახურემ კოლია ხვედელიძემ, რომელიც ბარგის მიცემის საქმეზე მსახურობს, კოჭია ჩიტაიშვილს გადაახდევინა კანონს გარეშე 500 მანეთი. ჩიტაიშვილმა ეს განუცხადა მილიციონერს. ხვედელიძემ ფული დააბრუნა და თავი იმით იმართლა, რომ შევსცდიო.

კრებები.

კვირას, 14 მარტს დილის 11 საათზე და ორშაბათს—15 მარტს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

— დღეს, დილის 10 საათზე მუშათა სახლში (ოთახი 55) დანიშნულია ტფილისის კოოპერატივთა მოსამსახურეების კრება.

— დღეს, დილის 11 ნახ. საათზე, პირველ ქალთა გიმნაზიის შენობაში, შესდგება მშობელთა წრეების დელეგატთა კრება.

— დღეს, 14 მარტს, დილის 10 ს. მოხდება აფთიაქართა ეკონომიური საზოგადოების, თადარიგში მყოფთ, აფთიაქართა და მოხელეთა საზოგადო წევრთა კრება.

— ხვალ, საღ. 8 ს., დანიშნულია ვერის [illegible] საზოგადოების მორიგი სხდომა.

— ორშაბათს საღამოს 7 საათზე დანიშნულია სოც. დემ. სტუდენტ-ქალთა საერთო კრება. ამხანაგებს ეთხოვთ დაესწრონ.

პროვინციის ქრონიკა

ახალ სენაკი. სენაკის სამაზრო ერობამ მაზრაში გახსნა ოთხი აფთიაქი. [illegible] ერობამ შეიძინა აფთიაქი ფარმაცევტებიდან. საქმეც სათანადოთ მოეწყო, მაგრამ საშინაოდ საქმეში ჩაერია ე. წ. ფოთის რაიონის ფარმაცევტთა კავშირი, არსებული ქ. სამტრედიაში. ფარმაცევტები, წინასწარ მასთან მოულაპარაკებლათ და კითხვის გამოურკვევლათ ხელმძღვანელმა კავშირმა ყველა ამ აფთიაქებიდან ერობის მიერ მოწვეული ფარმაცევტები დაითხოვა სამსახურიდან. კავშირი თავის ნაბიჯს ამართლებს მით, რომ ერობას არა ჰქონია უფლება მოსამსახურეთა მიღების, არამედ ამისი უფლება ეკუთვნის მხოლოდ კავშირსაო. დღეს ოთხივე აფთიაქში მუშაობა შეჩერებულია. მაზრაში ეპიდემია მძვინვარებს.

მთავრობის საგანგებო კომიტეტი

მოქალაქენო! ქ. გორის ნანგრევებმა შეუწყვიტეს ახალგაზრდა თაობის სწავლა-განათლება. სკოლების ნანგრევებ ქვეშ მოყვა იმედი მომავალი თაობის, ახალთაობა მოსწყდა კულტურის კერას, მოსწყდა აღზრდა განვითარებას, დარჩა ცის ქვეშ თვალცრემლიანი.

ნივთიერი უბედურების საშინელება გორის მცხოვრებთათვის გაორკეცებულ იქნება უიმედო და უსაშინლესი ზნეობრივი ტანჯვით, თუ მათი შვილები ჩამორჩნენ და განათლებას მოაკლდნენ.

მოქალაქენო! თქვენს მზრუნველობას მიებარება დღეს მათი ბედი.

მთავრობის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა გადმოიყვანოს გორის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლენი და მასწავლებლები ქ. ტფილისში, მაგრამ მათ უნდა დაბინავება, ოჯახური მზრუნველობა. მშობლებთან ერთად ისინი აქ ვერ მოთავსდებიან საშინელ სივიწროვის გამო, მაგრამ, მოსწავლე ახალგაზრდობა თქვენგან მოელის შველას. დაეხმარეთ საგანგებო კომიტეტს მათ დაბინავებაში. დაუთმეთ მათ ერთი კუთხე თქვენი შვილების გვერდით.

მოქალაქენო! შეიხიზნეთ თითო მოწაფე, თქვენ შეძლება გაქვთ—იკისრეთ ერთი ბავშვის რჩენაც. თუ შეძლება არა გაქვთ, მაინც მიუჩინეთ და საგანგებო კომიტეტი დაფარავს ხარჯებს.

მოქალაქენო, მშობელთა წრეებო, ტფილისის მოწაფენო, თქვენ გაწევთ პირველად ყოვლისა დიდი ამ წრის მოძმეთა დახმარებისა,

განცხადება ბინის მიცემის შესახებ მიიღება მთავრობის საგანგებო კომიტეტის (იუსტიციის სამინისტრო, სასამართლოს შენობა) და განათლების სამინისტროში.

მთავრობის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე რ. არსენიძე.

აზერბეიჯანის პარლამენტში

აზერბეიჯანის პარლამენტში 21 დეპუტატის მიერ ხელმოწერილი შეკითხვა იქნა შეტანილი, რომელიც შემდეგს შეიცავს: „ჩვენ ცნობები მოგვეპოვება, რომ განიარაღების საბაბით სომხეთის მთავრობა ანადგურებს მუსულმან მშვიდობიან მცხოვრებთ ყარსის ოლქში. 10 ათასამდე მუსულმანი [illegible] იმისა, რომ მათ იარაღი ხელში ჰქონდათ [illegible], განადგურებულია სომხეთის რეგულიარული ჯარებით და ელიტებით. აზერბეიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელ წრეებს არ ძალუძთ გულგრილათ უცქირონ ყარსის ოლქში მომხდარ სისხლის ღვრას. თავისი ერთმორწმუნეთა ბედი იწვევს მათში ღრმა სიძულვილის გრძნობას. ჩვენ გვსურს გვეცოდინოს—აქვს თუ არა მთავრობას ამაზე ცნობები; და თუ აქვს,—რა ზომებია მიღებული უბედურ მუსულმანთა დასახსნელათ ყარსის ოლქში. პარლამენტის 8 მარტის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ბ. უსუბბეკოვმა პასუხი გასცა.

ცხარე კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის ფრაქციებმა ერთხმად, (თავად შეკითხვის პარლამენტის სოციალისტთა ფრაქციამ) მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა რა ვრცელი განმარტება მთავრობის თავმჯდომარისა პარლამენტის წევრთა შეკითხვაზე ყარსის ოლქსა და ერევნის გუბერნიაში სისხლის ღვრის შესახებ, და მიიღო რა მხედველობაში სომხეთის რესპუბლიკის აგრესიული მიზნები, რომელიც გამოიხატება მუსულმანთა მცხოვრებლების გაწყვეტაში, რის შემდეგ განადგურებულ იქნა მუსულმანთა ბევრი სოფლები, მიწასთან გასწორებულ და ამოწყვეტილ იქნენ ათასობით მუსულმანები და ესმის რა, რომ საზღვრებისა და ტერიტორიალური საკითხის ასე გადაწყვეტა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათათვის დამღუპველი და დემოკრატიული პრინციპების წინააღმდეგი აგრეთვე საშიში რევოლუციის მონაპოვართათვის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობისათვის, გამოსთქვამს მთელი ქვეყნის დემოკრატიის წინაშე, მათ შორის ამიერ-კავკასიისაც, ენერგიულ პროტესტს სომხეთის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, ავალებს პარლამენტის პრეზიდიუმს ამის შესახებ პროტესტით მიმართოს კულტურულ ხალხთა პარლამენტებს, რომ მათ საჭირო გავლენა მოახდინონ ერევნის მთავრობაზე და მოითხოვონ მთავრობისაგან, რათა მან გადადგას სასწრაფო ნაბიჯი დაზარალებულთა სიცოცხლის, პატიოსნებისა და ქონების დასაცავად".

პატარა განმარტება

„სახალხო საქმის" 775 № ში მოთავსებულია ბ. პ. გაგოშიძის ჩემდამი საპასუხო წერილი. „ერთობის" 17 № ში მე უკვე ვსთქვი და ეხლა კიდევ ვიმეორებ, რომ სათაკილოდ მიმაჩნია ბ. გაგოშიძის გამოყოფა და მასთან კამათი. მისი წერილის სხვა ადგილები მე არ მაინტერესებს, ოღონდ ორი სიტყვა უნდა ვსთქვა წერილის იმ ადგილზე, სადაც წერია: ვინც [illegible] გაივლის, „იგი ნახავს ჩემს მოფუთფუთე ქოხს და თქვენს ამ ხიფათის დროს ახალ ფასონზე გაკეთებულ სასახლეს ოთხ თვალიანს [illegible]".

[illegible] მამაჩემს ჰქონდა ორი ოთახიანი წისქვილის ერთი ნახევარი და საკუთარი ორი ოთახიანი სიგრძით ათი და სიგანით ცხრა არშინიანი პატარა სახლი. როგორც წისქვილი, ისე სახლი ხისაა, ქვეყნიერ ჩემს გაჩენამდე აშენებული და დაძველებული. გასულ წლის ზამთარში ორთავეს ჰქონდა დაინგრა და სახურავიც სიძველის გამო. ის, რასაც ბ. გაგოშიძე „ახალ ფასონზე გაკეთებულ სასახლეს" ეძახის შეკეთების შემდეგ ასეთი დარჩა: დაურღვეველ კედლებს ერთთავ შუაში გადაჭრა, რამოდენიმე კაცმა ჯერ ერთი ნახევარი გადაიტანა იქვე სხვა ადგილას, შემდეგ მეორე ნახევარი დაადგეს და ასე გადააჭრეს. ეს არის ახალ ფასონზე გაკეთებული სასახლე? თუ ამ ორი ოთახისათვის ვინმეს ან სიგრძე ან სიგანე, ან კარი ან ფანჯარა მიუმატებია, ყოველგვარ პასუხის მგებლობას ვკისრულობ ჩემს მამასთან, რომელიც სახლის პატრონია, და „სახალხო საქმის" რედაქციის ნებას ვაძლევ ეს „ახალ ფასონზე გაკეთებული სასახლე" გაყიდოს გორელების სასარგებლოთ. ხოლო, თუ ის, რაც მე ზევით აღვწერე ახალ ფასონზე გაკეთებულ სასახლეს არ ნიშნავს, მაშინ სამწუხაროა, რომ გაზეთი, რომელიც თავის თავს პოლიტიკურს და სოციალისტურს ეძახის, ზოგიერთი უღირსი თანამშრომლების სახით ისეთ მდგომარეობაში გვაყენებს, რომ იძულებული ვართ ჩვენი ოჯახური მდგომარეობის აწერით საქმიანი პრესაც მოვაცდინოთ და მკითხველის ყურადღებაც.

რაც შეეხება ბ. გაგოშიძეს, წინადადებას ვაძლევ ნება მომცეს მისი მოფუთფუთე „ქოხი" წამოვიღო და ნაცვლათ ჩემს ხარჯით მის ეზოში, მივართვა ის, რასაც იგი ახალ ფასონზე გაკეთებულ სასახლეს ეძახის. თუ ეს წინადადება მან არ მიიღო, მაშინ „სახ. საქმე" უნდა გაგვანთავისუფლოს ასეთი უპატიოსნო წერილებიდან.

რ. ყიფიანი.

უცხოეთი

ინგლისი

ჰენდერსონი ირლანდიის შესახებ. ინგლისის მუშათა პარტიამ გაგზავნა საგანგებო კომისია ირლანდიაში, იქაური მდგომარეობის გამოსარკვევად. კომისიაში შედიოდა, სხვათა შორის, არტურ ჰენდერსონი, რომელმაც დაბრუნების შემდეგ ირლანდიის მდგომარეობის შესახებ შემდეგი განაცხადა: მდგომარეობა მეტად გამწვავებულია. სინ-ფეინერები მხოლოდ მაშინ დაწყნარდებიან, როდესაც ირლანდიის დამოუკიდებლობა გამოცხადდება. მათ დაუკარგეს ყოველგვარი ნდობა ინგლისისადმი. ირლანდიის საკითხის გადაჭრა, ჰენდერსონის აზრით, მხოლოდ ერთის გზით შეიძლება—მიეცეს ირლანდიის ხალხს თვით გამორკვევის უფლება, რასაც მუშათა კლასი ყოველთვის მოითხოვდა. ჰენდერსონი ფიქრობს, რომ ამ საკითხის გადაჭრას შესძლებს მხოლოდ მუშათა პარტიიდან გამოსული მთავრობა.

ამერიკა.

უნივერსიტეტები და საზავო ხელშეკრულება. ამერიკულ ჟურნალ „ნიუ-სტეიტსმენ"-ში მოყვანილია რეფერენდუმის შედეგი, რომელიც მოხდენილ იქნა ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების შორის იმ მიზნით, რათა გამორკვეულიყო მათი დამოკიდებულება [illegible] ხელშეკრულებისადმი. საზავო ხელშეკრულების მომხრე აღმოჩნდა: 3,945 მასწავლებელი და 3*,499 სტუდენტი. წინააღმდეგი 450 მასწ. და 11,073 სტუდ. შესწორებულ ხელშეკრულების მომხრენი აღმოჩნდნენ 4,352 მასწავლებელი და 40,437 სტუდენტი. ამ ციფრებიდან ირკვევა, რომ ამერიკის ნასწავლი საზოგადოების უმრავლესობა მომხრეა იმის, რათა შესწორებულ იქნეს ეხლა არსებული საზავო ხელშეკრულება.

რუსეთი.

ბუქრეტოვის ბრძანება. ყუბანის რადით არჩეულმა ატამანმა ბუქრეტოვმა ბრძანება გამოსცა მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომელშიაც მოუწოდებს ყველას, ვისაც კი შეუძლია, იარაღით ხელში დაიცვას ყუბანი ბოლშევიკებისაგან. ვინც ჯარში არ ჩაეწერება, ის მოღალატეთ იქნება გამოცხადებული და გადაეცემა სამხედრო საველე სასამართლოს.

ხაზინის გადასახადები ყუბანის მთავრობის განკარგულებით დაწესდა [illegible], რომელიც არავითარ ხურდას არ უშვებს ნოვოროსიისკში და სხვა მეზობელ მხარეებში.

სომხეთი.

სომხეთის დელეგატები მარშ. ფოშთან. მარშალი ფოში იღებდა სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარეებს—ავეტისიანს და პოღოს ნუბარ ფაშას, სხვათა შორის, იმის შესახებ, რათა საფრანგეთმა სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს სომხეთის რესპუბლიკას. ფოშმა ისინი დაარწმუნა, რომ ამ მხრივ იქნება მიღებული შესაფერი ზომები.

წერილები იტალიიდან

იტალიის ეკონომიური მდგომარეობა.

იტალიის ეკონომიკის დასახასიათებლათ საინტერესოა [illegible] მცხოვრებთა შემადგენლობა და ქვეყნის საგარეო ბალანსი.

მცხოვრებთა შემადგენლობა, თუ როგორი არის განაწილებული ხალხის შრომის ენერგია მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, საგარეო ბალანსი კი გვიჩვენებს ხალხის შრომის შედეგებს. რა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია ხალხს თავისი შრომით, რა და რა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ სჭირდება მას სხვა ერების დახმარება და როგორი ანაზღაურება აქვს ის ამ დახმარებას.

1911 წლის აღწერით იტალიაში 36 845.048 მცხოვრები იყო. ამათში მეურნეობის სხვადასხვა დარგში დაბინავებული იყო 16 870.514 სული (მამაკაცი 11.249.352, დედაკაცი 5 121.162) ამ რიცხვში 3 მილიონ კაცზე მეტი აწარმოებდა ისეთ საქმეებს, რომლებიც არ ჰქმნის ახალ ღირებულებას (როგორიც არის ტრანსპორტი, სამოქალაქო და სახელმწიფო სამსახური, ვაჭრობის მუშები, თავისუფალი ხელოსნები და სხ.) დანარჩენი 13 მილიონი სული კი ასე იყო განაწილებული:

1) სასოფლო მეურნეობის დარგი (ამაში შედის მეტყევეობა და ნადირობა) სასოფლო მეურნეობის პროდუქტების დამზადება-დამუშავება—10 347.5 6 კაცი.

2) სამთო-მადნის წარმოებას—118.278 კაცი.

3) დამამუშავებელ წარმოებაში გ. ი. ფაბრიკა ქარხნებში მუშაობდა—1976718 სული.

4) სადამზადებლო წარმოებას—930.068 სული.

საერთო რიცხვიდან, 13 მილიონი კაციდან, რომელიც ნაყოფიერ დარგებში შრომას ეწეოდა, სასოფლო მეურნეობის და მასთან დაკავშირებულ წარმოებას ეწეოდა 77 პროც., ხოლო იტალიის ახასიათებს, როგორც მიწათმოქმედების ქვეყანას, მეტი [illegible] მეტი სულით განეკუთვნება.

რიცხვი თვალს გადავავლებთ იტალიის საგარეო ვაჭრობის ბალანსს, მივიღებთ შემდეგ სურათს.

წლები.	შემოტანილი.			გატანილი.		
1881	1240	მილ.	ლირ.	1165	მილ.	ლირ.
1891	1127	„	„	877	„	„
1901	1718	„	„	1374	„	„
1911	3389	„	„	2404	„	„
1912	3702	„	„	2397	„	„
1913	3646	„	„	2512	„	„

როგორც ხედავთ, 1891 წლიდან იტალიის საგარეო ვაჭრობა სწრაფად იზრდება. მაგრამ შემოტანილი საქონელი სხვა ქვეყნიდან მეტია იტალიიდან გატანილზე.

თუმცა იტალია სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, მაგრამ მას არ აქვს საშუალება გამოკვებოს საზღვარგარეთ [illegible] პროდუქტებით იმდენი, რამდენსაც ის დღესაც საჭიროებს.

თუმცა იტალიის მრეწველობაში დაბანდებულია ერთგვარი შრომის საკმაოდ მცირედი ნაწილი, მაგრამ მაინც იტალიას გააქვს უცხოეთში იმდენი ფაბრიკული ნაწარმი, რამდენიც შემოაქვს.

შემოტანილი ნივთიერი მასალის [illegible]

სოლ იტალიას არ ძალუძს იმდენივე ნედლი მასალა მიაწოდოს სხვა ქვეყნებს.

რითი უნდა დაფაროს იტალიამ ეს ხარჯები? ყოველ წელს იტალიაში მოემგზავრებიან ათასობით ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები და სხვები. ყოველ წელს ასი ათასობით მიდიან იტალიელები შვეიცარიაში, საფრანგეთში, ამერიკაში. ტურისტები იტალიაში მოდიან ფულის გასაფანტად, დასასვენებლად. იტალიაში მოგზაურობენ ისინი პირველი კლასის ვაგონებით, ცხოვრობენ საუკეთესო სასტუმროებში. იტალიელები კი, საზღვარ გარეთ მოგზაურობენ, იტალიელები საზღვარ გარეთ მუშაობენ, მათ ქვეყანაში კი ტურისტები ფულებს ფლანგავენ. იტალიიდან სამუშაოთ წასულან ევროპაში: 1911 წელს—271 065 კაცი, 1912 წ.—308 140 კ., 1913 წ.—313,032 კ. ევროპის გარეთ იტალიიდან წასულან: 1911 წ.—262,779 კ., 1912 წ.—408 306 კ., 1913 წ.—559 566 კ., 1911 წელს იტალიაში დაბრუნებულა 218 998 სული. 1912 წ.—182 990 სული. 1913 წ.—183,978 სული. საშუალოთ ამ სამი წლის განმავლობაში იტალიიდან მიდიოდა 1 05 962 კ. ბრუნდებოდა იტალიაში 195 989 კ. იტალიაში დაბრუნებულ ემიგრანტებს, აფერებული ფულები შემოაქვთ თავიანთ ქვეყანაში. ემიგრანტები, რომლებიც საზღვარ გარეთ რჩებიან ყოველ წელს ფულს აგზავნიან სამშობლოში თავიანთ ოჯახებში.

დაბრუნებულ ემიგრანტების შემოტანილი ფული, ყოველ წლიურათ უდრის 500 მილ. ლირს. თა ამ გზით იტალიას გააქვს რა თავისი სამუშაო ძალა საზღვარ გარეთ, ფარავს იმ ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია იმპორტის ნაკლებლობით.

იტალია მეურნეობის ქვეყანაა, იქ მისდევენ მიწის დამუშავებას, მიუხედავათ იმისა, რომ იტალიის მიწა არ არის ნოყიერი.

იტალიას ესაჭიროება მრეწველობის განვითარება, მაგრამ ნედლი მასალის ნაკლებობა აფერხებს მის განვითარებას. იტალიის ხალხს ბუნება ხელს არ უწყობს, მაგრამ ენერგიულ შრომას მაინც თავისი გააქვს და შეძლებს აძლევს იტალიის მცხოვრებთ თავი ირჩინონ.

ისტორიამ იტალიის მრეწველობის განვითარება ვიწრო ჩარჩოებში მოათავსა, მაგრამ ამ პირობებშიაც კი შეიძლება მათ ენერგიული შრომით ბევრის გაკეთება.

. მრეწველობა ომამდე.

იტალიას ომ ს დაწყებამდე იმდენივე ფაბრიკები და ნახევრათ ფაბრიკული ნაწარმოები გააჩნდა საზღვარ გარეთ, რამდენიც შემოჰქონდა. იტალიაში მცხოვრებთა მცირე ნაწილი არის დასაქმებული დამუშავებითი წარმოებებში და თვით დამუშავებითი წარმოების განვითარება არ არის დიდი ხანი რაც დაიწყო იტალიაში. ამას მოწმობს ქვემოთ მოყვანილი ციფრები.

1881 წელს იტალიაში შაქრის წარმოება უდრიდა 635 ტონს. ამავე წელს საზღვარ გარეთიდან შემოიტანეს 761 247 ტონი 1914 წელს კი იტალიას საკუთარი შაქარი ჰქონდა 3,055,642 ტონი და საზღვარ გარეთიდან შემოიტანა მხოლოდ 5,310 ტონი.

რას ამტკიცებს ეს ციფრები? 1881 წელს იტალიას თითქმის არ ჰქონდა საკუთარი შაქარი, ადგილობრივათ დამზადებული შაქარი ვერ ც კი აკმაყოფილებდა მოთხოვნილების ერთ მეათასედს, 1914 წელს კი იტალიაში დამუშავდა 3 მილიონზე მეტი ტონი შაქარი.

1881 წელს იტალიაში შემოვიდა საზღვარ გარეთიდან 1,195 ტონი აბრეშუმის პარკი 1913 წელს—5,054 ტონი.

1881 წელს იტალიაში ნართი შემოიტანეს 717 ტონი, გაიტანეს იტალიიდან საზღვარ გარეთ—4 371 ტონი. 1913 წელს შემოიტანეს 2,845 ტ., გაიტანეს 7,359 ტონი.

1881 წელს დამზადებული ნაწარმოებები შემოუტანიათ იტალიაში 82 მილ. ლირის, გაუტანიათ 12 მილ. ლირის. 1913 წელს კი შემოუტანიათ 45 მილ. ლირის, გაუტანიათ 107 მილ. ლირის. ამ გვარათ 1881 წლიდან 1913 წ. 400 პროცენტით გაიზარდა აბრეშუმის შემოტანა, აბრეშუმის ნართის შემოტანა 300 პროცენტით დამზადებულ საქონლის შემოტანა კი მხოლოდ 40 პროცენტით გაიზარდა. ამავე დროს ნართის გატანა იტალიიდან გაიზარდა 70 პროცენტით და დამზადებულ ნაწარმოებთა გატანა კი გაიზარდა 800 პროცენტით.

იტალიაში ვითარდება მატყლის წარმოებაც. 1881 წელს იტალიაში შემოიტანეს 9 536 ტონი მატყლი. ნართი კი 5,632 ტონი. 1913 წელს 28,639 ტონი მატყლი შემოიტანეს, ნართი 2,955. ამგვარათ, დაუმუშავებელი მატყლის შემოტანა იზრდება, საზღვარ-გარეთ, ნართის შემოტანა კლებულობს 50 პროცენტით. თვით იტალიას გააქვს ახლა საზღვარ გარეთ ნართი. 1913 წელს გაიტანა 387 ტონი.

ბამბეულობის წარმოებაც ვითარდება. 1881 წელს შემოიტანეს 48,162 ტ. ბამბა, გაიტანეს ბამბის ნართი 388 ტონი. 1913 წელს შემოიტანეს 201 881 ტონი ბამბა, ნართი გაიტანეს იტალიიდან 49,395 ტონი. ქიმიური წარმოება იტალიაში დაიწყო მხოლოდ 90 წლებში, მაგრამ მაინც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ.

ლითონების დამუშავებაც ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. 1881 წელს ჩამოასხეს 28 ათასი ტონი თუჯი, 4 ათასი ტონი ფოლადი. 1913 წელს კი 427 ათასი ტონი თუჯი და 846 ათასი ტონი ფოლადი. მექანიკური წარმოებაშიაც იტალიამ დიდი ნაბიჯი გადადგა. განვითარებულია ავტომობილების დამზადების საქმე. იტალიაში განვითარებულია ავტომობილებით მიმოსვლა და ეს კმაყოფილდება თითქმის ადგილობრივ დამზადებულ ავტომობილებით. გარდა ამისა იტალიამ ომის წინ გაიტანა საზღვარ გარეთ, ამერიკაში, საფრანგეთში და ინგლისში 2,500—3,500 ავტომობილი. იტალიას არა აქვს საკუთარი რეზინი. ის ყიდულობს მას ინგლისში, საფრანგეთში, ბრაზილიაში. გადამუშავებულ რეზინებს კი ჰყიდის ინგლისში, ისპანიაში, არგენტინაში.

იმ დროს, როდესაც რომი კაცობრიობის მმართველი იყო, იტალია მდიდარი იყო, ყველა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ ადუარებული სიმდიდრე, იტალია სტკბებოდა ამ სიმდიდრით, მაგრამ მას საკმარისი პური არა ჰქონდა, ბევრდებოდა რაც ნაც კი, რომ სოფლის ხალხი დაიმშოდებოდა. საშუალო საუკუნოებშიაც, როდესაც გენუა და ვენეცია მსოფლიო ვაჭრობის ბატონებათ იყო გადაქცეული, იმ დროსაც კი, როდესაც იტალიაში აგებდენ მშვენიერ ფუძეწერმეტე სასახლეებს, მაშინაც ღარიბი და გამოფიტული იყო იტალიის მიწა.

მაგრამ ხალხის სიმდიდრე მიწაში კი არ არის, არამედ მათ შრომაში და მის მშენებლობით ენერგიაში. იტალიის ხალხმა 50 წლის წინათ, თავის გამოფიტულ ღარიბ მიწაზე დაიწყო სახელმწიფოს აშენება და ჩვენ ვხედავთ, რომ იტალიის ხალხის შრომამ მეტად ბარაქიანი, მან შესძლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბევრის გაკეთება.

ვლ. ვოიტინსკი.

ქუთაისი

2 მარტს შესდგა ქუთაისის სახელმწიფო დაწესებულებებში დაბალ მოსამსახურეთა პროფ. კავშირის წევრთა საზოგადო კრება. დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა. ვინაიდან თფილისში გაგზავნილი დელეგატის მოხსენებამ კრება ვერ დააკმაყოფილა, საზოგადო კრებამ დაადგინა: ვინაიდან მდგომარეობა აუტანელია და არსებული ჯამაგირები იმდენათ არ აკმაყოფილებს ჩვენს პირველ საჭიროების მოთხოვნილებას—ეკონომიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ვადას სდებს 15 მარტამდე და თუ ამ ვადაში მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული, 15 მარტს კავშირი აცხადებს საერთო გაფიცვას

— ქალაქის სასანიტარო საექიმო ექიმების ოფიციალური ცნობით ქუთაისში ამ ბოლო დროს შავი სახადით ავადმყოფობამ საგრძნობლად იკლო ქალაქში დღეში ამ ქამად შავი სახადით ავად ხდებოდის მხოლოდ ორი—სამი შემთხვევა. შავი სახადისაგან სიკვდილის პროცენტი გასულ წლებთან შედარებით (მაშინ 15 პროცენტი იყო წელს კი მხოლოდ 8 პროც.) წელს საგრძნობლათ მცირეა.

— ქალაქის საბჭომ პირველ მარტს დაადგინა დღევანდლის გამგეობას 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებით შესადგენათ მიიღოს ყოველგვარი ზომები.

— ქალაქის გამგეობამ ქალაქის უქონელ მოწაფეების გადასახადით სწავლისაგან განთავისუფლების პროექტი შეიმუშავა, რაც წინასწარ დამტკიცებულათ საბჭოს ყველა ფრაქციებს დაეგზავნა.

— ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ თავის უკანასკნელ მოსაზრებით დაადგინა: ქალაქის სკოლის მასწავლებლებს დაემატებათ იმ ჯამაგირისა, რასაც ისინი მთავრობიდან იღებენ, ქალაქმა ყოველ თვიურად კიდევ მისცეს 540 მანეთი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი 22 თებ. მე 6 რაიონულ კოლექტივის მუშათა კლუბის შენობაში შესდგა ამავე რაიონის საქ. ს. დ. მ. პ. წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში შედგენილი შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება კოლექტივის მოღვაწეობის შესახებ; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება და 3) კოლექტივის ახალ შემადგენლობის არჩევა.

პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა კოლექტივის თავმჯდომარემ ვ ინწკირველმა. ის ვრცლათ აცნობს კრებას კოლექტივის გასულ წლის სრულ ანგარიშს, როგორც იდეურ, ისე ფინანსიურს, რაც კრებამ შეკითხვა და განმარტების შემდეგ მიიღო მხედველობაში და გადავიდა მორე კითხვაზე.

შემდეგ კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება კოლექტივის მოღვაწეობის შესახებ და განსაკუთრებით კოლექტივის ფინანსიური მდგომარეობა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ფინანსიური მხარე საერთოდ უწესრიგობით სწორეთ, მხოლოდ 2 თვის ანგარიში (აგვისტოს და სექტემბრის) მეტად აბნეულათ არის ნაწარმოები, რის გამორკვევა კომისიამ ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო. კრებამ სარევიზიო კომისიის მოხსენება დაადასტურა 2 თვის ანგარიშის გამოკლებით, რის გამორკვევა დაევალა ამავე კომისიას, რაც შემდეგ სხდომისთვის უნდა წარუდგინოს კრებას. ბოლოს მოხდა არჩევნები: კოლექტივის თფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

რაიონულ კოლექტივში არჩეულ იქნენ: 1) ვ ალიხანოვი, 2) დ. ზუბაშიძე, 3) რ. გრიგოლაშვილი, 4) ი. გოგონაშვილი, 5) ვ. ინწკირველი, 6) მ. ნაკაიძე, 7) გ. პირველი, 8) მ ტერელაძე, 9) სარქისოვი, 10) ს. რაზმაძე და 11) ი. შუბლაძე.

თფილისის კომიტეტის წევრათ ი. ირემაშვილი და სარევიზიო კომისიაში: ვ. თათეშვილი, ა. სოლომონაშვილი და ი. ხელაძე.

26 თებერვალს, საღამოს 5 ს. ბიუროს ბინაზე შესდგა კოლექტივის ახალ შემადგენლობის პირველი სხდომა, სხდომას დაესწრო ათი წევრი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) პრეზიდიუმის არჩევა, 2) კომისიის არჩევნები და 3) მიმდინარე საკითხი. პირველი კითხვის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კოლექტივის პრეზიდიუმის წევრებათ ხმის მრავლობით არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ ვ. ინწკირველი, მის ამხანაგათ ვ. ალიხანოვი, მდივნათ მ. ნაკაიძე და მოლარეთ რ. გრიგოლაშვილი.

მეორე კითხვის შესახებ კოლექტივმა საჭიროთ სცნო, რომ რაიონში პარტიულ მუშაობის გასაძლიერებლად არჩეულ იქნას შემდეგი კომისიები: საორგანიზაციო, კულტურულ განმანათლებელი და საფინანსო. პირველ კომისიაში არჩეულ იქნენ: მ. ტერელაძე, ი. შუბლაძე და ს. რაზმაძე. მეორეში—ვ. ალიხანოვი, ა. სარქისოვი და რ. გრიგოლაშვილი. მესამეში—ვ. ალიხანოვი, ვ ინწკირველი, მ. ნაკაიძე, დ. ზუბაშიძე და გ. პირველი.

მდივანი.

— —

ნავთლუღი. (კახ. რკ. გზა). 11 მარტს მოხდა ს. ს. დ. მეხუთე რაიონის წევრთა საერთო წლიური კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ბალარჯიშვილი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება კოლექტივის 1919 წლის მუშაობის შესახებ, 2) პარტიული კრებების დანიშვნა, 3) კანდიდატების დასახელება 1 უბნის რაიონულ გამგეობაში გასაყვანათ, 4) რეორგანიზაცია, 5) თფილისის კომიტეტში წარმომადგენლის არჩევა და მიმდინარე კითხვები. პირველ კითხვაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა კოლექტივის თავმჯდომარემ ამხ. გ. ბალარჯიშვილმა კოლექტივის მუშაობის შესახებ 1919 წელში. წაკითხულ იქნა აგრეთვე 1919 წლის ანგარიში. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა რა მოხსენება კოლექტივისა, კრება ამტკიცებს ანგარიშებს, ნდობას უცხადებს მას და გადადის მორიგ კითხვებზე. მეორე კითხვაზე დაადგინეს: დაევალოს მომავალ კოლექტივს პარტიული კრებები დანიშნოს ხშირ ხშირად. მესამე კითხვაზე დასახელებულ იქნა კანდიდატები კახ. რკ. გზის 1-ლ უბნის რაიონულ გამგეობაში გასაყვანათ. მოხდა რეორგანიზაცია და გაყვანილ იქნენ ახალ კოლექტივში შემდეგი პირნი: გ. ბალარჯიშვილი, ფ. ხინჩა, ს. ჯინჭველაშვილი, ალ. ტაბატაძე, ალ. პონომარენკო, ალ. სეფერთელაძე, ილ. კალანდაძე, ო. ფანცულაია, ნ. ვაშაკიძე, კანდიდატებათ: ვ. დოლიძე, ივ. გოგუაშვილი, ს. ფოთოლაშვილი. თფილისის კომიტეტში არჩეულ იქნა ს. ჯინჭველაშვილი და კანდიდატათ ალ. სეფერთელაძე.

მდივანი ლ. ახობაძე.

მუშათა შორის

მოწოდება ამხ. ნავ.ბიჭადმი.

ამხანაგებო! თქვენს რიგში ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთსულოვნებით ვმუშაობთ დემოკრატიის საკეთილდღეოთ, მხედველობაში გვაქვს თქვენი ნაყოფიერი შრომა, ვეგნებით შექმნილ იმ არა-ნორმალურ პირობებში, რომლისაც არა გვაქვს საშუალო მასალა და ამით გვიხდება თქვენთან ერთად გავწიოთ ყოველგვარი შრომა და გამოვიჩინოთ გამოცდილება. უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი ძალა მუშათა კლასის გამოიხატება შეერთებულ მუშათა ორგანიზაციებში, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეძლება გვაქვს გავუმჯობესოთ ჩვენი მატერიალური მდგომარეობა იმდენით, რამდენათაც პირობები გვიკარნახებენ ჩვენ მუშებმა უნდა დავამტკიცოთ სიმწიფე და ღირსება, პირნათლად შევასრულოთ 8 საათის შრომა, რომლისთვისაც თქვენთან ერთად, ამხანაგებო, ბევრი წლები გვიბრძოლია.

შევუდგეთ თვალყურის დევნას იმ ამხანაგებისადმი, რომელნიც ექსპლოატაციას ეწევიან თავიანთ ამხანაგებზე, როგორიცაა გამოუცხადებლობა სამუშაოზე, გაპარვა მუშაობის დროს, სიმთვრალე, ქურდობა და სხვადასხვა, თვით მივაქციოთ ჩვენს თავზე ყურადღება იმ შექმნილ ღირებულებისა, რომელსაც თვით ჩვენ ვქმნით შეერთებული ძალით. გამოვიჩინოთ ყოველგვარი უნარი, ცოდნა და გამოცდილება ნაყოფიერი მუშაობისათვის და ყოველივე ამით ჩვენ შევძლებთ დავამტკიცოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ყოველივე კარგი არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი ხალხისათვის.

ამისათვის ერთად ერთი საშუალებაა შრომის ნაყოფიერების აწევა. მოგიწოდებთ რა ამხანაგებო ნაყოფიერ შრომისაკენ, ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ თქვენი სიმწიფე და უნარი მიმართულია თქვენივე ორგანიზაციების გასამაგრებლათ, რომლის საშუალებითაც ჩვენ თქვენთან ერთად მწყობრ რიგით ორგანიზაციულად შეკავშირებული მივაღწევთ მას, რომ მთელი მუშათა კლასი გახდება დემოკრატიული წყობილებიდან ღირსი მუშათა განმათავისუფლებელ სოციალიზმში.

თფილისის დეპოს ვაგონის პარკის ცეხის ორგანიზაცია.

პროვინცია

ხოფ. ახალქალაქი (გორის მაზრა). 29 თებერვალს შესდგა ადგილობრივ კოოპერატივ „თოძამის" წლიური საერთო კრება. როგორც სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, ნაღდი მოგება მთელი წლის განმავლობაში ყოფილა 41081 მ. 21 კ. ამ მოგებიდან 30 პროცენტი გადადეს სათადარიგო თანხაში, დანარჩენი ნახევარი მოგება კი მიწის ძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. მოხსენების შემდეგ მოხდა ახალი არჩევნები. გამგეობაში არჩეულ იქნენ ისევ ორი ძველი გამგეობის წევრები: გიორგი ჯღანტიაშვილი და თამარა თარხნიშვილი და ერთიც ახალი, ყოფილი სარევიზიო კომისიის წევრი მიომიანი. სარევიზიო კომისიაში: ალექსანდრე ჯინჭარაძე, დათიკო კალატოზიშვილი და სანდრო ოქრუაშვილი.

ამავე საღამოს ადგილობრივ კლუბ „ინტერნაციონალის" დარბაზში, მიწის ძვრისგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის მიერ, გამართულ იქნა ლექცია—წარმოდგენით. ლექცია წაიკითხა ექიმ ვაშაკიძემ მიწის ძვრის გამომწვევ მიზეზების შესახებ. ლექცია-წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. ამ საღამოს შემოსავალი 4000 მანეთზე მეტი გადაეცა მიწის ძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

გარეული.

— —

ზემო-გომი (ქართლი). ამ დღეებში ბორჯომის უბნის გამომძიებელმა გომის რაიონში ჩამოიარა სოფლები და იძიებდა ყოველგვარ საქმეს დაწვრილებით ადგილობრივათ. გამომძიებლის ეს ავრეს ყურადღებას იპყრობდა ის მოვლენები, რომლებიც ეხებოდა ზოგიერთ კამიროების თავხედობას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გამომძიებლის ამ რიგათ რაიონებში მუშაობა, დიდათ სასარგებლოა საქმისათვის. პირველი ისა, რომ [illegible] სოფლის და ნ მღვდლებთან გამოძიებისათვის ასე მუშაობა [illegible] საჭირო ა. მეორე ისა, რომ ასეთი მუშაობით ხალხი უახლოვდება კანონიერებას. მესამე და ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ხალხს უნდა [illegible] მდგომარეობა, რაც გამოიხატება შემდეგში:

ბორჯომის სავამოძიებლო უბანი ისე დიდი და [illegible] სამოგზაურო, რომ სულ უბრალო საქმეზე ბორჯომში მ მისვლას მ ტარებლის უზრუნველობის გამო, მოქალაქე სამი ოთხი დღე უნდება ხალხმა, ამ გარემოებამ შეძულა ხალხს გამომძიებლის სახელი. მერე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ხშირათ გამომძიებელი არ უბრუნდება შინ დაბარებულს, ასეთი გაწამებული მგზავრობის შემდეგ მეორე კიდევ უხდება მოქალაქეს სადგურებში დაიცდის თვეს. ხშირად გვეუბნებოდა ხალხი:—„ეს რაღაც გამომძიებელია, თუ ობროობა ამ სისხლის პური ერთის დროის ქრისტიანი კაცი გაცვლნის სამ-ოთხ დღეს გდებ კაცს. ი დალოცვილი დაგვიბარებს, მოვალთ, არ დაგვხვდება შინ: „სხვაგან წაბრძანდა" გვეტყვის კარის კაცი და შევბრუნდებით სახლში. აბა იმას რაში ესმოდება ჩვენი კალო-გუთანი თუ ცოდვა". ამას იქით მოქალაქეს აღარ ექნება საჭმელთა ზემოთ მოყვანილი სიტყვები, რადგანაც გამომძიებელი თვით დაუახლოვდება ხალხს.

ვუსურვებთ ჩვენს ახალ გამომძიებელს ენერგიის გაორკეცებას, რომ ხალხში მუშაობა უფრო გაეფართოვებინოს რესპუბლიკის საკეთილდღეოთ.

ხარდალი.

წერ. რედაქციის მიმართ

კარდენახის თემის გამგეობას.

„გაზ. „ერთობა"-ში № 5-ში იყო მოთავსებული თქვენი წერილი, რომელშიაც სწერდით, ვითომ მასწავლებელი № ყოფილიყოს სამსახურიდან დათხოვნილი სკოლების მეთვალყურის ქ ნ შარაშიძის და ნ. ამბრტოლაშვილის მიერ, ეს არ არის ასე. მასწავლებელი ჩვენში არავინ ყოფილა დათხოვნილი. რაც შეეხება ანტაგონიზმს მასწავლებელთა და გამგეობას შორის, ეს იყო კლასების მოუწყობლობის გამო, რასაც დაამოწმებს სკოლების მეთვალყურე ბ. ამბრტოლაშვილი და ქ-ნი შარაშიძე. რაც შეეხება სწავლას—2 თებერვლამდე ის კარდენახში არავითარი სისტემატიური მეცადინეობა არა ყოფილა, ვიდრემდის იძულებულმა მშობლებთა წრემ არ მიმართა სიღნაღის სამაზრო ერობას.

ბ. P. ვინაიდან ჩვენთვის გამოურკვეველია დათხოვნილი მასწავლებლის პიროვნება, რომელსაც გაზ. „ერთობის" № 28—ქ ნ შარაშიძის წერილით ბრალი ედება, ვითომც სამსახურის დაუდევრობაში, რაზედაც ყველა ჩვენგანს დიდ უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს, ამისათვის ვთხოვთ როგორც თემის გამგეობას, აგრეთვე ქ ნ შარაშიძეს მასწავლებლის № ს ვინაობა გვაცნობოს.

ს. კარდენახის პედაგოგიური საბჭო.

განცხადებანი

ექიმი ქალი
მ. მ. ალფეევი
წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველდღე 11—2 საღამოს 6—7. სპეციალურად საშვილოსნო ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი [illegible]
იღებს შინაგან და მაგრეთვე ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ნარიმანოვის ქუჩა № 37, [illegible]

ექიმი
ნ ლ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, ხსენებით და ქალურ სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—12. 119—ო.)

ექიმი
[illegible]
(ოზურგეთიდან)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52.
(ო. 581)

ექიმი **ა. ლევენშტეინი**
შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. მკურნალობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, ბუშტების და ნერვიულ სისტემის. რენტგენიზა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

კბილის ექიმი
ქ. გ. [illegible]
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და 4—6 საათ. ნიკოლოზის ქუჩა № 64 (566—4—4)

კერძო სამკურნალო
ექ. ე. მ. მძინარიშვილისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კირიჩნ. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87
მიიღება ყოველგვარ სნეულებით ავადმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. ღარიბები უფასოთ დილის 8—11 საათამდე.
იღებენ ექიმები
ი. ქ. ახაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. ვ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავადმყ.
ა. გ. მაღალდაძე—შინაგ. ავადმყ. და მიკრო—ხიმ. ანალიზი.
ა. გ. მაჭავარიანი—ქირურგ. ავადმყ.
ე. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფ. და კანის ავადმყ.
ნ. ხ. ორემბოვსკი—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავადმყ.
მ. დ. შალამბერიძე—ქალის ავადმყ. და საბებიო.
სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანქვეშ შეშხაპუნება, აცრა, „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო „ქიმიური" ანალიზი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის, შარდის, განავლის და სხვ. (ო. 009)

ექიმი **ა. დ. პეპელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვ"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—ო.)

ექიმი
ა. ბ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (ო. 546)

[illegible] კლინიკებისა
ბ. ზ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. [illegible] 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 22, ტელეფ. 7—82.
მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს [illegible] უფასოთ. (ო. 626)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი მკურნალობა (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული [illegible] სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 33

განცხადება

საქართველოს რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 16 მარტს, 1920 წელს. დილის 10 საათზე სამმართველოს ეზოში დანიშნულია

გაყიდვა აუქციონით

500 ფუთამდე ძველი ქაღალდები და წიგნები დაწვრილებით ცნობების მიღება წვრილობით და პირადათ შეიძლება სამმართველოს კანცელარიაში დილის 8 საათიდან დღის 3 საათამდე. (959—1—1)

საჭიროა
გამოცდილი მზარეული

რომელმაც უნდა მოამზადოს ყოველ დღე 200 სადილამდე კოოპერატიული სასადილოს წევრთათვის თავის ხარჯზე. პირობების გაცნობა შეიძლება გამგეობის თავმჯდომარესთან ნიკო დანდუროვთან: ქალაქის აგენტების კანტორა მე-5-თე უბ. თათრის მოედანი 8—10 საათ. დილით. (951—2—1)

ქ. ახალციხეში სასწრაფოდ იყიდება
ორთქლის ხე-ცყის ზავოდი

ორ ცილინდრიანი მანქანა—25 ცხენის ძალით, ორთქლის ქვაბი 485 ოთხკ. ფუტი, სათბი ფართობა (поверхностнаго нагрѣва) სამი ხე-ტყის სახერხი დაზგა რეგვალ ხერხიანი, „კონცოოზკა" და ორი ორთქლის ნასოსი. მსურველმა უნდა მიმართოს ქალ. ახალციხეში ტ. კიურკს. (934—1—1)

თფილისის სამხედრო წისქვილი

ჰყიდის დასაფქვავათ ყოველგვარ მარცვლეულობას

პირობების გაგება შეიძლება წისქვილის კანცელარიაში, პეტრე-პავლეს ქუჩა, № 18, ავლაბარში პირველ სასტუმრო სადგურის ეზოში. (928 2—2)

[illegible] სტამბა გ. რუხაძისა, გამრეკელის შესახვევი № 1.